190/3
1960

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

8
1960

# ადამიანის მეგობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდია ფუტკრის მნიშვნელობა ადამიანისათვის. იგი იძლევა მეტად ძვირფას პროდუქტებს — თაფლსა და სანთელს. თაფლი, გარდა იმისა, რომ მეტად გემრიელი საკვებია, იგი ამავე დროს, ძვირფასი სამკურნალო თვისებებისაა: მას იყენებენ კუჭის წყლულის დაავადების საწინააღმდეგოდ, სისხლნაკლოვანთა სამკურნალოდ და სხვ. თაფლი განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის. სანთელი ხომ, ჯერ ერთი, თვით მეფუტკრეობის მეურნეობისთვისაა აუცილებელი: სანთლის საერთო მოსავლის 80 პროცენტი მეფუტკრეობას უბრუნდება ხელოვნური ფიჭის სახით; სანთელს დიდი გამოყენება აქვს სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში: ელექტრომრეწველობა, ავტოტრანსპორტი, სარკინიგზო ტრანსპორტი, ავიაცია, ოპტიკა და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, სადაც სანთელი აუცილებელია. ახლა ფუტკრის შხამს აღარ იკითხავთ?— მას ამ ბოლო დროს წარმატებით იყენებენ მედიცინაში, როგორც სამკურნალო საშუალებას. შეიძლება თქვენ არც კი გაგიგონიათ, მაგრამ ფაქტია, რომ ფუტკრის გარეშე ვერ მივიღებდით მზესუმზირას, ესპარცეტის, სამყურას, იონჯის, ხილეულისა და ბაღჩის მცენარეების მოსავალს. ფუტკარი რომ არ ყოფილიყო, ძალიან შემცირდებოდა ყვავილების დამტვერვა.

აი, სწორედ ამიტომ, ადამიანი ფუტკრის დიდი მეგობარია ძველთაგანვე. თუ ადამიანი ახლო გაეცნობა ფუტკრის ოჯახს, მის ცხოვრებას, იგი აუცილებლად დაინტერესდება და შეიძლება სამუდამოდ მოკიდოს ხელი მეფუტკრეობას, ამ საინტერესო და სასარგებლო საქმეს.

ძალიან კარგი თაოსნობის წამომწყები გახდნენ დუშეთის რაიონის პიონერები. მათ რესპუბლიკის ბავშვებს მოუწოდეს — შევისწავლოთ, შევიყვაროთ მეფუტკრეობა. საქართველო ხომ ყველაზე საუკეთესო, მთის რუხი ფუტკრის სამშობლოა. ჩვენი ქვეყნის მინდორ-ველზე დაფრენენ და სარჩოს აგროვებენ ეს გამრჯე მწერები. მრავალი მეფუტკრე თვალისჩინივით უვლის, აძლიერებს მათ ოჯახს. და აი, სახელოვან მეფუტკრეებს დღეს ნორჩებიც შეემატნენ. მათ ეხმარებიან უფროსები, პედაგოგები, გამოცდილი მეფუტკრეები.

ფუტკრები ოჯახებად ცხოვრობენ. ერთ ოჯახში ფუტკრის რაოდენობა 70-80 ათასს აღემატება. ცალკე, ერთეულ ფუტკრებს კი სიცოცხლე არ შეუძლიათ.

ფუტკრებს ამრავლებს ოჯახის დედაფუტკარი, რომელიც ყოველდღიურად კვერცხებს დებს. ზაფხულში, ფუტკრის ოჯახში ყოველდღიურად 1000-1500 ფუტკარი იბადება. თითოეული ფუტკარი ზაფხულში 35-40 დღე ცოცხლობს, ზამთარში — 4-დან 9 თვემდე. დედაფუტკრის სიცოცხლე კი ხანგრძლივია: იგი ერთ წლამდე ცოცხლობს. მამალი ფუტკარი ფუტკრის ოჯახში მხოლოდ ზაფხულობით გვხვდება. ბუნებაში ღალის შეწყვეტისთანავე მუშა ფუტკრები მამალ ფუტკრებს სკიდან ერეკებიან და შიმშილით სიკვდილისათვის სწირავენ.

სკაში ყოველგვარ სამუშაოს მუშა ფუტკრები ასრულებენ: აშენებენ ფიჭას, ასუფთავებენ უჯრედებს და სკას ნაგვისაგან, კვებავენ ბარტყებს, აგროვებენ ყვავილის მტვერს და ნექტარს, დარაჯობენ სკის საფრენს, ნექტარს თაფლად ამუშავებენ და სხვ.

იმისათვის, რომ ერთი კილოგრამი თაფლი შეაგროვონ, მუშა ფუტკრებმა 5 მილიონამდე ყვავილი უნდა მოიარონ. ფუტკრის ერთ ოჯახს ერთი წლის განმავლობაში ნორმალური განვითარებისათვის 70-80 კილოგრამი თაფლის მარაგი ესაჭიროება. ადამიანმა რომ ფუტკრის ოჯახიდან 20-25 კილოგრამი თაფლი მიიღოს, მაშინ ფუტკრებმა ერთი წლის განმავლობაში 100-120 კილოგრამი თაფლი უნდა შეაგროვონ. ვინც ფუტკრის ცხოვრებას კარგად არ იცნობს, ის თაფლის კარგ მოსავალს ვერც მიიღებს.

ბავშვებო, თუ გსურთ გახდეთ მეფუტკრეები და თაფლის მაღალი მოსავალი მიიღოთ, კარგად უნდა შეისწავლოთ ფუტკრის ცხოვრება.

ირ. რაზმაძე,

სსსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორჩ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი

8

აგვისტო
1960

გამოცემის წელი
XXXIV

8009



## შინაარსი

გვ.

**ი. რაზმაძე**—ადამიანის მეგობარი (წერილი) გარეკ. 2
**ნ. კილახონია**—შენთვის, სამშობლოვ! (ნარკვევი) . 2
**ა. წერეთელი**—ხარაბუზა და ფუტკარი (არაკი) . 5
**ლ. ფრუიძე**—ლამლუზის დარბევა (მოთხრობა. დასასრული) . . . . . . . . . . . . . . 6
ჭკვიანია ფუტკარი? . . . . . . . . . . 10
იცი თუ არა შენ? . . . . . . . . . . . 10
**აკ. გელოვანი**—ფუტკრის რატომ გეშინია? (ლექსი) 11
**გ. ჭეიშვილი**—მშიშარა კაპიტანი (მოთხრობა) . 12
**უშ. ზარეკიძე**—კარგი ხარ ბანაკო! (ნარკვევი) . . 14
**რ. დვალიშვილი**—მზე შინა და მზე გარეთა (რეპორტაჟი) . . . . . . . . . . . . . . 16
**ე. ჯიბლაძე**—სინანული (მოთხრობა) . . . . . . 18
**ხ. ბერულავა**—მარიამ დემურიას სურათთან (ლექსი) 22
**ს. შამფრიანი**—მამაცნი, სასახელონი (ნარკვევი) . 23
რატომ ვამბობთ ასე? . . . . . . . . . 25
**ვ. ბარათაშვილი**—აზიის კარებთან (წერილი) . . 26
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . . 28
**რ. ზარდალიშვილი**—ლუტემზე (წერილი) . . . . 29
იწრთობა მომავალი (რეპორტაჟი) . . . . 30
უცხოური იუმორი . . . . . . . . . . 31
თავისუფალ დროს . . . . . . . . . . 31
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . 32







გარეკანზე: „საფუტკრეში“.—ნახ. **რევაზ ცუცქირიძისა**; გარეკანის მესამე გვერდზე—**ზ. ლეჟავას** „იმერული ჩანახატები“.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **თ. ხამხონაძის, ჯ. ლოლუას, ნ. შალიკაშვილის** და **მ. დაუშვილის** მიერ.



რედაქტორი **რევაზ მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია: **შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი). **მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედაქტორი).

... ხალხ. ხალ. ... ჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს გოგონა ნორჩი მეფუტკრე ეთერ ყარმაზანაშვილია. „მივცეთ სამშობლოს 3.400 კილოგრამი თაფლი!“ — მტკიცედ გადაწყვიტა მან მეგობრებთან ერთად.

ნ. კილასონია

ფოტო მ. საამოვისა

# შენთვის, სამშობლოვ!

გაზაფხულზე დუშეთის მიდამოები ფერად სამოსელს იცვამს. თეთრად იპენტება აკაცია, ჰაერში ცაცხვის ყვავილის საამო სურნელება ტრიალებს. ჰყვავის ხეხილი, შინდი, კუნელი. მზის გულს ეფიცხებიან მთის ყვავილები, აი, სწორედ ისინი, ვაჟა-ფშაველამ რომ უკვდავყო თავის ლექსებში; ფუვდება მიწა, იწყება შრომის ფერხული. დიდი და პატარა მინდორში გასულა. რა საამური ზუზუნი ისმის? — ეს ხომ ფუტკრის ღიღინია, დატრიალებს თავს ნექტარით სავსე ველს, იკიდებს ტვირთს და მერე ოჯახისაკენ სიმღერით ბრუნდება.

ბარაქა თქვენს შრომას, პატარა ფუტკრებო! ძველთაგანვე ადამიანი მეგობრად გთვლის, თავს დაგხარით და თქვენს ოჯახს მტერს არ დააჩაგვრინებს.

ლიანამ ფუტკარი პატარობიდანვე შეიყვარა. გამრჯე ბებიას რამდენიმე ძირი სკა უდგას ხეხილნარში. იგი დღენიადაგ თავს დასტრიალებს სკებს. პატარა ლიანაც მასთან არის. ბებია უხსნის, რომ ახლა ფუტკრის პირველი გამოფრენა იწყება, ამიტომ ივსება მთელი მიდამო მხიარული ზუზუნით. ბებია დარს უყურებს, თბილ, წყნარსა და მზიან ამინდში ფრთხილად ხსნის სკას და ჩარჩოებს სინჯავს. გამოცდილი მეფუტკრე ამოწმებს ფუტკრის სიმძლავრეს, ჯანსაღობას, ბარტყების რაოდენობას. ლიანაც პირბადეს იკეთებს და ბებიასთან ერთად ეძებს დედა ფუტკარს, თაფლიან ჩარჩოს ხელში სავარაუდოდ წონის. უნდა, რომ ფუტკრის ოჯახს ბევრი თაფლი ჰქონდეს, რომ დედა ფუტკარმაც ბევრი კვერცხი დადოს, ბევრი ბარტყი აღზარდოს, გაძლიერდეს მათი ოჯახი.

ერთხელ კი ლიანამ ასეთი სურათი ნახა: ფუტკრები სკიდან ერეკებოდნენ, ხოცავდნენ თავიანთ თანამოძმეებს.

შეწუხებულ გოგონას ისევ ბებიამ აუხსნა, რომ ფუტკრების ოჯახი ვერ იტანს მუქთახორა, ზარმაც მამალ ფუტკრებს, რომლებიც ხელსაც არ ანძრევენ ოჯახის საკეთილდღეოდ. ამიტომ შრომისმოყვარე ფუტკრები სასტიკად სჯიან მათ...

აი, საიდან გამოყვა დუშეთის მეორე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ლიანა შალიკაშვილს ფუტკრის სიყვარული. ვინ იცის, კიდევ რამდენი ბავშვი დადის ამ სკოლაში, ბაზალეთიდან, კობიაანთ კარიდან, არღუნიდან, უნაგირა მთის ველებიდან. თითქმის ყოველი მათგანი იცნობს ფუტკარს. დუშეთი ხომ საქართველოში მეფუტკრეობისათვის ერთ-ერთ მდიდარ რაიონად ითვლება!

და ამიტომ არავის არ გაკვირვებია, რომ სწორედ დუშეთის რაიონის პიონერებმა წამოიწყეს ეს შესანიშნავი ინიციატივა: შევქმნათ მეფუტკრეობის მეურნეობა «პიონერი»!

ეს კი ასე დაიწყო:

დიდი ლენინის დაბადებიდან 90 წლისთავის დღეებისათვის მზადებისათვის რაზმეულის საბჭო ღონისძიებებს ისახავდა. წითელყელსახვევიანები მსჯელობდნენ, თუ როგორ აღენიშნათ ეს დიადი თარიღი. რა წარ-



მატებით შეხვედროდნენ აპრილის დღეებს, რომლისთვისაც მთელი ჩვენი ქვეყნის პიონერები სიხარულით ემზადებოდნენ.

და აი, წამოდგა ლიანა შალიკაშვილი. მას მღელვარებისაგან სახე აწითლებია.

— მოდით შევქმნათ მეფუტკრეობის მეურნეობა. ფუტკარი პიონერების მეგობარიც გავხადოთ. ვისწავლოთ მისი მოვლა, გამრავლება, სკოლის საცდელ ნაკვეთზე დავდგათ მათი ოჯახი. ამით ხომ საყვარელ სამშობლოს მივცემთ ძვირფას პროდუქტებს — თაფლსა და სანთელს.

რაზმის საბჭოს წევრები აქრიამულდნენ. შეიქნა დავა, მსჯელობა. უნდა ითქვას, რომ ზოგმა ყოყმანი დაიწყო — ვაითუ, თავი შევირცხვინოთ, ფუტკრის მოვლა-პატრონობა ძნელი საქმეა, ჩვენ კი მხოლოდ სურვილი არ გვეყოფაო. მაგრამ უმრავლესობა აღტაცებული იყო ახალი წინადადებით. მათ უფრო მეტად შეესხათ ფრთა, როცა სკოლის დირექტორმა ნინო როსტიაშვილმა მხარი დაუჭირა ამ წამოწყებას: თქვენ ოღონდ მოინდომეთ და ყველა მხარში ამოგიდგებითო, თქვა დირექტორმა.

მართლაც, განა დუშეთში არ ცხოვრობენ და შრომობენ ცნობილი მეფუტკრეები: ანა ბედუკაძე, ნიკოლოზ ნათობიშვილი, ირაკლი ბედუკაძე და სხვები. განა ვინ დაზარდება, რომ პატარებს თავისი ცოდნა გაუზიაროს, ხელი შეაშველოს...

მთელ სკოლას მოედო ახალი ამბავი. საკლასო ოთახებში, დერეფნებში, სკოლის ეზოში, ყველგან ნახავდით ჯგუფად დამდგარ პიონერებს. და ყველას პირზე ფუტკრის მეურნეობა ეკერა. ამის შესახებ მთელმა რაიონმა შეიტყო. მეორესკოლელებმა რაიონის თანატოლებს იმავე მოწოდებით მიმართეს:

«ჩვენი რაიონის 38-ივე სკოლაში საშუალოდ სამ-სამი სკაც რომ დაიდგას, პირველ ღალიანობაზე 3.400 კილოგრამ თაფლს მივცემთ სამშობლოს». მეგობრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კომკავშირის რაიკომმა მოიწონა ეს ღონისძიება. რაიონის აქტივის თათბირზე კი კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ პიონერებს.

ზოგ სკოლას მანამდეც ყავდა ფუტკრის ოჯახი. მაგრამ უმრავლესობას ახლა უნდა შეეძინა. აი, აქ დაეხმარნენ ნორჩ მეფუტკრეებს რაიონის კოლმეურნეობები, მეფუტკრეობის სამმართველო. ბაზალეთის, საკრამულის, საშაბუროს, ახატნის, ჭოპორტის, მლეთის, ანანურისა და არანისის სასკოლო-საცდელ ნაკვეთზე ზუზუნებენ ფუტკრები, კოხტად გამოიყურებიან ხეხილნარში ახალი სკები [illegible] ხომ კოლმეურნეთა საჩუქარია. მეფუტკრეობის სამმართველომ კი პიონერთა სახლს, სადაც მეფუტკრეობის წრეა ჩამოყალიბებული, საჩუქრად გაუგზავნა სპეციალური ლიტერატურა, 1 სკა, 2 კილოგრამი ფიჭა, 12 ჩარჩო...

რაიონის განათლების განყოფილებამ 60 ძირი სკა შეიძინა ნორჩი მეფუტკრეებისათვის. 60 სკა კი თავად ბავშვებმა დაამზადეს სახელოსნოში.

სკოლებში ჩამოყალიბდა მეფუტკრეობის წრეები, რომელთაც გამოცდილი მეფუტკრეები ირაკლი ბედუკაძე, მარიამ ჭონქაძე და ნიკოლოზ ნათობიშვილი ხელმძღვანელობენ.



ცნობილ მეფუტკრე ნიკოლოზ ნათობიშვილთან ხშირად ნახავთ სტუმრად მოსულ პიონერებს. ნორჩები უყვებიან ძია ნიკოლოზს თავიანთ მეურნეობის შესახებ, უსმენენ, სწავლობენ მისგან...



პიონერთა რაიონული საბჭოს სხდომაზე შეიქმნა ნორჩ მეფუტკრეთა რაიონული შტაბი, შტაბის ბიურო. მის შემადგენლობაში უფროსებთან ერთად შეყვანილი იქნენ ნორჩი მეფუტკრეებიც.

მთელ რაიონში ცნობილი გახდა ნორჩი მეფუტკრეების სახელი: ნანა ზოტიკაშვილი, ნუგზარ ივანიშვილი, ომარ ზაქაიძე, რუსუდან ბექაური, ბელა ჩოხელი, ეთერ ყარმაზანაშვილი, ცარო ოთარაშვილი, ო. ქურციკიძე, ნ. კოზმანიშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ვინც გამრჯე შრომით სამშობლო უნდა ასახელოს. მათი სახელი და საქმიანობა უკვე მთელი ჩვენი რესპუბლიკისათვის გახდა ცნობილი. სწორედ მათ მოუწოდეს საქართველოს პიონერებს: ,,რა იქნება, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყველა პიონერულმა რაზმეულმა ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავად მოაწყოს საფუტკრე, მოაშენოს და მოუაროს ფუტკარს... თითოეულმა რაზმეულმა თითო სკა ფუტკარი გადავცეთ საჩუქრად სამშობლოს, მეფუტკრეობის მეურნეობის შესაქმნელად. დაე, ამ მეურნეობას ,,პიონერი'' დაერქვას!..

აბა, გადაშალეთ რაიონული გაზეთი ,,სტალინური გზით'', რამდენ საინტერესო და საჭირო კონსულტაციას წაიკითხავთ ნორჩ მეფუტკრეთა დასახმარებლად.

აბა, შეიარეთ თუნდაც მეორე სკოლის მეფუტკრეობის ოთახში. რანაირ ლიტერატურას არ ნახავთ აქ მეფუტკრეობის ირგვლივ. კედელზე გაზეთ ,,ნორჩი მეფუტკრის'' ახალი ნომერია. საბოლებელი, პირბადე, ასტამი, სადედე ხუფი, სადედე გალია, დანა და კიდევ რა ხელსაწყო-იარაღს არ ნახავთ ამ ოთახში, რომელიც ყოველ წამს საჭიროა მეფუტკრესათვის.

ლიანა და ეთერი პირბადეს იკეთებენ. მათ თეთრი, ქათქათა ხალათები აცვიათ, ასევე იქცევიან მათი მეგობრებიც. ისინი ისეთი მღელვარებით მიდიან თავიანთ საფუტკრეში, თითქოს დღეს პირველად აღებდნენ ამ პატარა მეურნეობის კარებს.

შორი გზიდან დაბრუნებულ ფუტკრებს ერთი ზუზუნი გააქვთ. ყვავილოვანი ველებიდან მოაქვთ ძვირფასი ტვირთი, კვლავ უბრუნდებიან მინდორს, ტყეს. თითქოს ისინიც ჩქარობენ და ცდილობენ, ხელი შეუწყონ წითელყელსახვევიანებს, რომლებმაც პირობა დასდეს: პირველ ღალიანობაზე 3.400 კილოგრამი თაფლი მივცეთ სამშობლოს.

...მხრებში ოდნავ მოხრილი, მაღალი მოხუცი საკუთარი საფუტკრის კარს აღებს. საფუტკრეში უხვად ხარობს ბაღნარის ყვავილები. თავი დაუხრია ვარდს, წითლად ღვივის მიხაკი, ყელყელაობენ ყვითელი ნარგიზები. მოხუცს თან მისდევს პატარა შვილიშვილი. იგი პაპას ეტიტინება. ნიკოლოზ ნათობიშვილი ბაღიდან გასცქერის მშობლიურ სერებს, იქითკენ მიისწრაფიან მისი ფუტკრებიც. ფიქრებმა წაიღეს მეფუტკრე. რამდენი რამ უნახავს, განუცდია მას სიცოცხლის გზაზე და ყველგან თან სდევდა სიმღერა შრომისმოყვარე ფუტკრისა.

აი, ახლაც, პაპა ნიკოლოზის ჭიშკარს მოსდგომია ნორჩების ჯგუფი. მოხუცი ღიმილით უღებს კარს პატარებს. ეს ხომ მისი შემცვლელი თაობაა,—მემკვიდრე სახელოვანი ქართველი მეფუტკრეებისა. და უხსნის, არიგებს პაპა ნიკოლოზი ნორჩ მეფუტკრეებს. მართლაც თაფლივით ტკბილია მისი სიტყვები!

ღელავდნენ მეგობრები, როდესაც ,,საგაზაფხულო ხილვა" ჩაატარეს და ნახეს, თუ როგორ გამოიზამთრეს მათი ფუტკრების ოჯახებმა.

წრის ხელმძღვანელმა ირაკლი ბედუკაძემ პირბადე გაიკეთა. იწყება მეფუტკრეთა მორიგი მეცადინეობა.









# ხარაბუზა და ფუტკარი

აკაკი წერეთელი

ნახ. ნ. შალიკაშვილ.

ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა,
მიაძახა: „გზა მომეო!
ვერ მიცანი, განა ვინც ვარ?
როგორ გამეთამამეო?

თუ ვერ ატყობ თავს, ვინცა ხარ,
გამიგონე, რომ გითხრაო:
შენ რომ ფრთები გამოგბმია,
ღმერთიც მაშინ გაგიწყრაო!



ბზუილასა, ტყუილასა,
ეხამიანსა, მკბენარსაო,
ვინ არ გიცნობს უსაქმურსა,
მფრინავს მოუსვენარსაო?!

მე კი დარბაისლად მცნობენ,
შრომისა ვარ მოყვარეო...
ჩემთვისა ვარ, არვისა ვკბენ,
არ ვარ შენი მოგვარეო!

ქვეყნის თვალში მე სულ სხვა ვარ,
შენ სულ სხვა ხარ... ხომ ხედავო?
ჩამოდექი, გზა მომეცი!..
ურჩობას ნუ მიბედავო!

ფუტკარმა ეს უპასუხა:
„ნუ მაცინებ, ხა-ხა-ხაო!
ვინც რომ ქვეყნად გაგაჩინა,
ნეხვის [illegible] დაგსახაო!

ბევრს რომ შრომობ, ნუთუ ჰფიქრობ,
რომ მთა და ბარს ასწორებო?..
მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ,
იქვე ახლო აგორებო.

ის ხომ შენი საზრდო არის?
შენს მეტს არვის არგიაო!
შენ აკეთებ... შენვე ჰზიდავ...
საკუთარი ბარგიაო!

დარბაისლად იმუშავებ,
რაღად ირბენ, აბა, შორსო?
ყოველ ფეხის გადადგმაზე
ნახავ, თუნდა მთელ გოდორსო!

მე კი სხვა ვარ... სულ სხვა მუშა
და სხვაგვარად მოღვაწეო:
ზეცის მუშას მეძახიან,
არ ვარ მარტო სამიწეო!

მისთვის დავფრენ მოუსვენრად,
რომ მოვძებნო ყვავილიო,
გულის წვენი ამოვწუწნო,
სამკურნალო რამ ტკბილიო.

შევუმზადო მით ქვეყანას
თაფლი, ზეცას—სანთელიო,
რომ იქ წმინდად შეიწიროს
და ანათოს აქ ბნელიო.

ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის,
ქვეყნის მტერიც ის არიო.
და მისთვის მაქვს მომართული
გესლიანი ისარიო!“

ეს უთხრა და ფრთა გაშალა,
მიაშურა ყვავილებსა...
და ჩვენც ამგვარ პასუხს ვკადრებთ
ზოგიერთ ჩვენს ყმაწვილებსა.



ლევან ფრუიძე

ნახ. თ. სამსონაძისა

# ლამლუზის დარბევა

მოთხრობა



მაშინ, როცა გამარჯვებული ფუტკრები მხიარული ბზუილით ბრუნდებოდნენ უკან, — დასიებული, დაკოჭლებული, ცალი თვალით დაბრმავებული თაგუტ წარსდგა დათვთა მეფე დათუ-ბათუს წინაშე; უამბო, თუ როგორ გაუნადგურდა ლაშქარი მომძლავრებულ ლამლუზელებთან ომში. სთხოვა ეძია შური, მოესპო მწერთა ქალაქი. მერე ეშმაკურად შეაპარა — ერთ თვეს ვერ გაათავებთო ნადავლ თაფლს.

კეფა მოიქექა დათუ-ბათუმ თაფლის ხსენებაზე, ნერწყვი გადაყლაპა და აბუზღუნდა:

— ბარემ გვინდა თაფლი, მაგრამ შეუვალია სათაფლეთი. ტყუილად ირჯები თაგუტ მეფევ, ჩვენ არაფერი შეგვიძლია — ფუტკარს ისევ ფუტკარი თუ გაანადგურებს.

ჭკუაში დაუჯდა ნათქვამი თაგუტ მოსისხლეს. ლოკვით მოირჩინა ჭრილობები და დაადგა შორეულ გზას: სურდა ეპოვნა ფუტკართა სხვა ქალაქი, ამხედრებინა ლამლუზელთა წინააღმდეგ.

ბევრი იარა თუ ცოტა, ცხრაჯერ ცხრა მთა გადაიარა. ვინ მოთვლის რა საოცრება არ ნახა მისმა ცალმა თვალმა: ქალაქები, სოფლები, ავტომანქანები, მატარებლები. ერთხელ გემზეც კი შეიპარა. იქცა შორეული ნაოსნობის ვირთაგვად. გასუქდა სასადილოდან მოპარული ნამცეცებით. უფულოდ და უბილეთოდ მოიარა თაგუტმა მთელი მსოფლიო. ის იყო, შურისძიებაზე ხელის აღებას აპირებდა, რომ მოულოდნელმა შემთხვევამ ყველაფერი შესცვალა. თაგუტის ქურდობა გემის მზარეულმა შენიშნა, დაუდარაჯდა და, როცა ყოფილი მეფე სასუსნავად გამოცუნცულდა, სტაცა ხელი და შუა ზღვაში გადაისროლა. მალე დაიღალა გაზარმაცებული თაგვი, ცურვა ველარ შეძლო. იფიქრა მოვკვდიო, და მიენდო ტალღების რწევას.



ბიჭოს! დილით ხმელეთზე მოვიდა გონს. ბრმა ტალღას გაეტანა ნაპირზე. თათი ჰქონდა ნაღრძობი, კოჭლობით გასწია.

უცებ, ნაცნობი ზუზუნი მოესმა. აიხედა და სახტად დარჩა: ხეთა კენწეროებს ეკიდა ფუტკართა ჯაგნები, და იყო მღელვარე ყრიალობა...

კალია შესეოდა აქაურ ყვავილეთს. „მინდვრების დალაქს“ გადაეპარსა მთელი ველები. სასტიკი შიმშილობა გაბატონებულიყო. თაფლმონატრებული ფუტკრები ლამის ჭამდნენ ერთმანეთს. ჰოდა, აყრილიყვნენ ჯაგნებად შესეოდნენ ხეებს, მსჯელობდნენ, კამათობდნენ — როგორ დავიხსნათო თავი.

ბოროტად ჩაიხითხითა თაგუტმა და მწივანა ხმით შესწივლა ფუტკრებს:

— მისმინეთ! თაფლის ზღვაში ბანაობს ქალაქი ლამლუზი. წადით, გაფრინდით იქ, ამოხოცეთ მდიდარი თანამომძმენი!

— გავფრინდეთ! გავფრინდეთ! — იხუვლეს დამშეულმა ფუტკრებმა.

— ცხრა ზღვას გადალახავთ, ცხრა ველსა და ცხრა მთას, — მიასწავლა თაგუტმა. — მერე იხილავთ სამ კლდეთა შორის ცხრა მუხაზე გაშენებულ მშვენიერ ქალაქს — ლამლუზს.



— ეხ, ვიცი, — დარდიანად ამოიკვნესა დამშეულთა დედოფალმა, — არ მინდოდა მოძმეთა მოსპობა, მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა, მაცდურად ამიმხედრე შვილები. მოჰკალით ეს ვერაგი! — მიუბრუნდა დედოფალი თავის ლაშქარს.



დასასრული. იხ. „პიონერი“ № 7.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძანების აასოულებლად, ფუტკართა გუნდი თავს დააცხრა თაგუტს და სასიკვდილოდ დაგესლა იგი.

* * *

შავი ამბავი მოიტანეს ლამლუზში მზვერავებმა:

— უცხო ნათესავთა ლაშქარი მოისწრაფვისო ჩვენსკენ.

შეწუხდა თაფლა დედოფალი, მიხვდა, ბრძოლა იქნებოდა დაუნდობელი და ლაშქარს მიმართა:

თავდამსხმელებს შიმშილი, გაჭირვება აძლევდა ძალას, ხოლო დამხვდურებს — მამულის სიყვარული, თავისუფლების დაკარგვის შიში. ამიტომ იყო ასე გააფთრებული შერკინება. ნესტარმოღერებული მეომრები გაალმასებით შხამავდნენ მტერს, ფეხებით ერთმანეთს მიკრულნი ცვივოდნენ ძირს, აქაც სულის ამოსვლამდე ძიძგილაობდნენ.

ომის სასწორი ლამლუზელთა სასარგებლოდ გადაიხარა. მაგრამ ეს რა ზრიალი და ღრიანცელია! რამ შეარყია უდრეკი მუხები?! ნუთუ გამართლდა ის, რისიც ასე ეშინოდა თაფლა დედოფალს?! ფუტკართა ძნელბედობით ისარგებლა დათვთა მეფე დათუ-ბათუმ, გაუმაძღარი მოძმენი შეუსია ლამლუზს.

ჯოჯოხეთური ყიჟინით მიიწევდ-

* * *

დრო იყო ეზრუნა თაფლა დედოფალს ნაშიერთა გადასარჩენად. დატოვა იავარქმნილი სამფლობელო და მახლობელ ტყეს მიაშურა. იქ წაბლის ტოტზე ჩამოჯდა, მოუწოდა ცოცხლად დარჩენილ შვილებს და ისინიც მოგროვდნენ. მზვერავებმა გამონახეს თავშესაფარად ერთი წიფელი, მოხდენილი ფუღუროთი. წაიყვანეს დედოფალი და შესახლდნენ.

და კვლავ მუყაითად შეუდგნენ ახალი ქალაქის მშენებლობას.

გავიდა ხანი. თითქმის წელში იმართებოდნენ ლამლუზელები, მაგრამ შემაძწრუნებელი უბედურება ეწვიათ: გარდაიცვალა თვითონ თაფლა დედოფალი. ვერც მომხვდურ ნა-



— შვილებო! სასიკვდილო საფრთხე გვემუქრება! დამშეული თანამოძმენი გვიტევენ. უნდათ ჩვენი თაფლი, ჩვენი საცხოვრისი. ყოველივე ამას მიიღებენ, თუ დაგვხოცავენ. გადავირჩინოთ თავი და შთამომავლობა!

— სიკვდილი მტერს!--დაიქუხეს ერთხმად.

უთვალავმა ლაშქარმა საავდრო ღრუბლივით დაფარა ზეცა. დასცეს საბრძოლო ყიჟინა.

დინჯად ზვერავდა ბრძოლის ველს ამირსპასალარი, მტრის დახვედრის სამზადისი უკვე მოათავა. საგანგებოდ გაამაგრა სკათა შესასვლელები. მხოლოდ ვიწრო ხვრელები დატოვა გამოცდილ გუშაგთა მეთვალყურეობის ქვეშ.

ახლა უშიშრად წაუძლვა მეწინავეთ. გაჩაღდა არნახული ბრძოლა.

ხენ პირდაღრენილი მხეცები. მიბობღავდნენ მუხებზე, უხეშ ტორებს ჩრიდნენ ფუღუროებში, გლეჯდნენ, თქვლიფავდნენ თაფლიან ფიჭებს. მიწასთან სწორდებოდა, ილუპებოდა წლობით ნაამაგარი. არსაიდან ჩანდა ხსნა. ამირსპასალარს ნესტრად დაუჯდა დათვის კბენა. ტანჯვით კვდებოდა მედგარი მებრძოლი.

თესავთა მილიონებმა, ვერც მსუნაგი დათვების დაუნდობლობამ ვერა დააკლო მათ იმდენი, რამდენიც დედის სიკვდილმა. დაობლდა ოჯახი, დარჩა უპატრონოდ, უხელმძღვანელოდ. აღარავინ იყო შთამომავლობის მომცემი. მთელი ღამე გლოვა-ტირილში გაატარეს, ბევრს დაეუფლა უიმედობა. რისთვის ვიშრომოთო, იძახდნენ.





მაგრამ გათენდა დილა. ვითომც აქ არაფერიო, ისე ამოდიოდა მზე. ძველებურად ჭიკჭიკებდა პიტალო კლდეზე დასახლებული მერცხალი. მხიარულად უსტვენდნენ ჩიტები. მარჯვედ სინჯავდა დაბერებულ თელას ხეთა მკურნალი კოდალა. ზანტად იზმორებოდა ტყე, მწვანედ ხასხასებდნენ ფოთლები მზის სხივებზე. არაფერი არ შეუცვლია თაფლა დედოფლის სიკვდილს. ტყუილად ეგონათ ფუტკრებს—მორჩა, დამთავრდა სიცოცხლეო. დამათრობელი სურნელით იწვევდა მათ ყვავილეთი. ჰოდა, გასწიეს ნექტართ საწუწნად.

ღალით დატვირთულნი დაბრუნდნენ უკან. დაბრუნდნენ და საოცრად განცვიფრდნენ: შინ დედინაცვალი დახვდათ. საიდან გაჩნდა იგი? სამკვიდრო ქალაქიდან გამოძევებულებს აბა სადღა ჰქონდათ თავი გაჭირვების დედა გამოეყვანათ! მშვიდობიან დროს, როცა დედოფალი მოხუცდება, წინდახედულ თავკაცებს გამოჰყავთ ახალგაზრდა დედა. წინასწარ არჩეულ მურს განსაკუთრებით კვებავენ. პატარაობიდანვე გამოირჩევა იგი სხვა ჭია-ბარტყებისაგან. როცა ფუტკრად იქცევა, ყველაზე დიდია და მომხიბვლელი. მერე გამოფრინდება სკიდან, ისარივით აირტყორცნება ზემოთ, შორს, შორს. უკან მისდევს მამალთა ლაშქარი. ყველა მათგანს სწყურია გახდეს დედოფლის მეუღლე. მათ შორის იმარჯვებს მხოლოდ ერთი — ყველაზე ძლიერი ვაჟკაცი, ვაჟკაცი, რომელიც შესძლებს საჰაერო მარულაში დაეწიოს დედოფალს. მერე? მერე სამწუხარო ბოლო აქვს დედოფლის ხანმოკლე მეუღლეობას: ძმაცი ფუტკარი კვდება. დადიხჯებული დედოფალი კი ბრუნდება უკან და ორი-სამი დღის შემდეგ კვერცხების დებას იწყებს.

ეხ, ლამლუზელებს თაფლივით



ტკბილად ახსოვდათ ძველი დრო. ცხონებულ თაფლას ცხრაჯერ მოუხდა ძირითადი ოჯახის დატოვება. ეს იმიტომ, რომ ფუტკართა წესი ასეთია: როცა სკა მრავალრიცხოვანი ხდება და აუცილებელია გაყოფა, მაშინ ძველი, გამოცდილი დედოფალი ტოვებს ბინას, მიჰყავს შვილების ნაწილი; სახლს, თაფლით სავსე ფიჭებს უტოვებს პირმშოს—მზრუნველობით ნაზარდ ახალ დედოფალს. მერე? მერე თვითონ ხელახლა იწყებს მშენებლობას და ცხოვრებას. ჰაი, დედასა! ბრძენთა-ბრძენი იყო სულგანათლებული თაფლა დედოფალი, აკი მან არ მოაშენა, გააძლიერა ქალაქი ლამლუზი?! საკვირველია, ახლა ვინ შენაცვლებია მას! როგორ იფხორება, სიარულშიც კი ბაძავს, თავი სასაცილო დიდებულებით უჭირავს, ხარს შეჯიბრებული ბაყაყივით იბერება.

ერთ ხანს ჩუმად უყურებდნენ, მერე შეეკითხნენ:

— ვინა ხარ?

— მე? დედოფალი ვარ!

— ხა, ხა, ხა!

— რა გეცინებათ?! წამოდით, გაჩვენოთ, თაფლაზე ნაკლებად არა ვდებ კვერცხებს!

ახალბედა დედოფალი გაბედულად გაეშურა სანაშენო ფიჭისაკენ. ჰოდა, მოულოდნელობისაგან ყველამ პირი დააღო — მართლა დაიწყო კვერცხების დება. მერე? მერე ყველა ძირს დაემხო და სცეს თაყვანი. ასე გაჩნდა ლამლუზელთა უბედურ ოჯახში ცრუ-დედა.

* * *

შუადღე იყო. მზის მხურვალება ტყეში ვერ ატანდა. ნოტიო, საამო სიგრილე სუფევდა ირგვლივ. იყო ფერთა სიუხვე და ფოთოლთა ცვენა, შემოდგომის სიმსუყე, ნადირთ ნავარდი და ნადირობა. ახლაც გამოჩნდნენ მონადირენი. ჭარმაგ მოხუცს თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი ახლდა. ლამლუზელთა წიფლის ქვეშ შეჩერდნენ. ბიჭი წყლის მოსატანად გაიქცა. მოხუცი კი მდელოზე წამოწვა და ჩათვლემას აპირებდა, რომ ზედ ცხვირთან რაღაც დაეცა. გამოიხედა და გაოცებით შეჰყვირა:



— ფუტკარი!

— რა იყო, პაპა? ეგ რა ბუზი გიჭირავს ხელში?

— ეს უბრალო ბუზი არ არი, შვილო, ფუტკარია.

— ფუტკარი?! ამ შუაგულ ტყეში?!

— ტყე იყო უწინ, ჩემო გუზან, მისი სამშობლო, მერე მოიშინაურა ადამიანმა. აჰა, ხედავ? აგერ, ამ წიფლის ფუღუროში უნდა ბინადრობდ-



ნენ. ისე, ღარიბი სკა ჩანს, იშვიათად მიმოდიან.

მოხუცმა ქალამნები გაიძრო, შეეცადა ხეზე ასვლას. ვერ შესძლო. ისევ ბიჭი აიყვანა და ჩამოზნექილ ტოტზე შესვა.

— აბა, შენ იცი, ადი, კარგად დაათვალიერე. ოღონდ არ გაალიზიანო.

სწრაფად აცოცდა გუზანი. ბევრი ძებნა არ დაჭირვებია, მალე იპოვა ფუღურო.

საღამომდე შეიცადეს. მერე აყალოთი ამოგმანეს სკის შესავალი და სახლში წავიდნენ.

ჯერ კიდევ ღრმად ეძინა გუზანს, როდესაც ტყეში კვნესით წაიქცა ლამლუზელთა წიფელი. პაპა ილიკომ გაკაფა მოჭრილი ხე, მარჯვედ დაიკრა ტაფა-ფრჩხილაზე და შინისაკენ წამოიღო. რაც შეიძლება ფრთხილად მოჰყავდა ხარები, ეშინოდა ფუტკართა დაფრთხობისა. მერე? მერე მშვიდობით მიაღწია სოფელს, აილო ტილოს თეთრი ტომარა, ფუღუროს შიგ გადაბერტყა დატყვევებული ფუტკრები და საგანგებოდ დამზადებულ სკაში მოათავსა.

ასე იქცნენ სახელგანთქმულ თაფლა დედოფლის ნაშიერნი ერთ-ერთ რიგით სკად. სამაგიეროდ, გაქრა საფრთხე, შიშიანობა. სუფევდა დიდი ხნის ნანატრი, დალოცვილი მშვიდობა. მაგრამ ახალმოშინაურებულნი არა თუ მძლავრდებოდნენ, პირიქით. ღარიბდებოდნენ. პაპა ილიკომ ადრევე შენიშნა ეს საფრთხე, დაკვირვებით გასინჯა ყველა ფიჭა და მალე მიხვდა ლამლუზელთა უბედურების მიზეზს: თურმე ცრუ-დედა ლუპავდა ოჯახს.

ძალიან განცვიფრდა გუზანი, როცა დაინახა, თუ როგორ ყრიდა ტომრიდან ფუტკრებს პაპა.

— რას შვრები, პაპა?

პასუხად მხოლოდ ჩაიცინა მოხუცმა. მერე დაუძახა:

— მოდი, აგერ, ეს ბუზი გასრისე!

— გავსრისო? როგორ თუ გავსრისო?! — ერთხელ, წყაროსთან ფუტკარი რომ მოვკალი, ლამის ყურები ამაგლიჯე.

— ნუ გეშინია. ის მშრომელი იყო, პატიოსანი. ამან კი თავი გაიდედოფლა, მუქთახორობა მოინდომა. ატყუებდა თანამოძმეებს, იმსახურებდა. ვითომ დედა ვარო, დებდა ფუჭ კვერცხებს. დროზე გავუგე, თორემ სულ გადააშენებდა ოჯახს.

— როგორ გამოარჩიე, პაპა, ეს მატყუარა ამდენ ფუტკრებში?

— სულ ადვილად, შვილო. ხომ დაინახე, წელან ტომარა რომ დავფერთხე. ყველა მუშა ფუტკარმა მიაშურა სკას, ცრუ-დედა კი აქვე დარჩა. სახლში ჯდომამ, სიზარმაცემ დაუკარგა ფრენის უნარი.

— პაპა, ახლა რაღა ეშველებათ იმათ უდედოდ?

— წამოდი, თვითონ ნახავ.

მოხუცმა პატარა ოთხკუთხედი გალია გამოიტანა, შიგ მოზრდილი, ლამაზი ფუტკარი ფრთხიალებდა.

— აი, დედაც.

— დედა?

— ჰო, ჩავკიდებ ობოლთა სკაში, თუ მოეწონათ, გარეთ გამოიყვანენ, ეთაყვანებიან, თუ არა და, სასიკვდილოთაც კი გასწირავენ.

— ვაიმე, მოეწონებათ?!

— ვფიქრობ, მოეწონებათ. უნაკლოა, ნაზი, სანდომიანი, მათი თაფლით ნაკვები.

ძველი მეფუტკრის წინასწარმეტყველება ახდა. დიდი სიხარული ჰქონდათ იმ დღეს ობლებს. თურმე ისევ ცოცხლობდა ლეგენდა თაფლზე უტკბეს თაფლადედოფალზე. ჰოდა, როცა გალიაში აალგაზრდა კეკლუცი ფუტკარი იხილეს, ერთხმად შეჰყვირეს: დაგვიბრუნდაო თაფლა დედოფალი!

ზარ-ზეიმით გამოიყვანეს, დასვეს საპატიო ტახტზე, მხიარული ზუზუნით მიულოცეს დედოფლობა. მერე? მერე ისევ იწყო აყვავება ფუტკართ ქალაქმა ლამლუზმა.



ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ჭკვიანია ფუტკარი?

ბავშვები ხშირად გვეკითხებიან, აზროვნებს თუ არა ფუტკარი.

თუ კარგად დააკვირდებით ფუტკრების მიერ გაკეთებულ ფიჭას, შეამჩნევთ, რომ იგი ათასობით ექვსკუთხა, პარალელურად განლაგებულ პრიზმისგან შედგება. ეს საკითხი დიდი ხანია აინტერესებს მეცნიერებს. ჩატარებული იქნა ამ პატარა ბუდეების უზუსტესი გამოთვლა და, იცით რა გამოირკვა? სწორედ ფუტკრების მიერ შექმნილი ჭურჭლის ეს ფორმა არის მასალის უმცირესი დახარჯვის შედეგად მიღებული ყველაზე მეტად ტევადი ფორმა.

თუმცა, ერთხელ მაინც შეეპარათ ეჭვი ფუტკრების გამოთვლაში. ერთი ინგლისელი მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რომბის კუთხე არა 70 გრადუსი და 32 მინუტი, არამედ 70 გრადუსი და 34 მინუტი უნდა იყოს. აქედან კი ასკვნიდა, რომ ფუტკრები სულ ოდნავ, მაგრამ მაინც შემცდარნი

ბეკეკასაც უყვარს თაფლი!.. ფოტოეტიუდი გ. თიკანაძის

## იცი თუ არა შენ, რომ...

### ფუტკრები ლაპარაკობენ

მეფუტკრეებმა გამოარკვიეს, რომ სკასთან მოფრენილი ფუტკარი ჰაერში ტრიალითა და სხვადასხვაგვარი ფიგურების კეთებით დანარჩენებს ამცნობს, რომ ნაპოვნია ნექტარის ველი. მწერის ასეთ მოქმედებას მეცნიერებმა «ფუტკრის ცეკვა», «ფუტკრის ენა» უწოდეს.

ზოგი მეცნიერი იმასაც ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ჯიშის ფუტკრები ამბავს სხვადასხვანაირი ცეკვით გადასცემენ. გამოდის, რომ ფუტკრების საერთო ენას თავისი «ადგილობრივი დიალექტი» აქვს. მრავალმა დაკვირვებამ და ცდამ მეცნიერებს საშუალება მისცა გამოევლინებინათ ამ «დიალექტების» თავისებურება.

### ლევ ტოლსტოი და ფუტკრები

დიდ რუს მწერალს ლევ ტოლსტოის ფუტკარი ყოველთვის აინტერესებდა, და როგორც კი თავი დაანება სამხედრო სამსახურს, ფუტკრის რამდენიმე ოჯახი შეიძინა, შეისწავლა მათი მოვლა-პატრონობა და ყოველ სამუშაოს საკუთარი ხელით ასრულებდა.

გაზაფხულის დღეებს მწერალი საფუტკრეში ატარებდა და ისე იყო გატაცებული, რომ ავიწყდებოდა ჭამაც, ლიტერატურული საქმიანობაც და ხშირად სტუმრებსა და მეგობრებსაც საფუტკრეში იღებდა.

მწერლის მეუღლე სოფიო ანდრიას ასული ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: «ფუტკრების ცხოვრებამ ისე დააინტერესა, რომ ერთ ხანს მხოლოდ მათზე ლაპარაკობდა, წიგნებს მათ შესახებ კითხულობდა, უკეთავდა განსაკუთრებულ სკებს და სხვას ყველაფერს ივიწყებდა. მწყინდებოდა მარტოს, ხშირად მასთან საფუტკრეში მიმქონდა სადილი, ან საღამოს მივდიოდი, მასთან ერთად რომ დამელია ჩაი. მივალ და ვხედავ, — ლევ ნიკოლოზის ძე პირბადით დგას და რაღაცას უკეთებს ფუტკრებს, დამინახავს და მაშინვე იწყებს ლაპარაკს ისევ მათზე, — თუ როგორ მოათავსა ფუტკრების გუნდი სკაში, როგორ შენიშნა პატარაფრთებიანი დიდი დედაფუტკარი, ძლივს რომ მიფოფხავდა სკაში. ან მეტყოდა: — აბა, ყური დაუგდე როგორ გუგუნებენ მუქთახორა ფუტკრები.

განსაკუთრებული ყურადღებით მუშა ფუტკრებს უკვირდებოდა და მეც ხშირად დამანახვებდა ხოლმე როგორ მოჰქონდათ მათ სარჩო უკანა ფეხებით»...

«ახლა მისთვის მთელი სამყაროს ცენტრს საფუტკრე წარმოადგენს და ამიტომ ყველა განსაკუთრებით უნდა იყოს დაინტერესებული ფუტკრებით», — უწერია დღიურში მწერლის მეუღლეს.

### ფუტკრებმა ქურდობა იციან

გაზაფხულზე, როცა ყვავილი ჯერ კიდევ ცოტაა, ფუტკრები საზრდოს დაეძებენ და ხშირად ოჯახები ერთმანეთს ქურდავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიანო. ვინ იცის, სანამდე გაგრძელდებოდა ეს დავა, რომ მოულოდნელ შემთხვევას, რომელსაც ერთი შეხედვით არავითარი კავშირი არ ჰქონდა ფუტკრებთან, სინათლე არ შეეტანა ამ ამბავში.

ქარიშხლის დროს გადაბრუნდა და ჩაიძირა ინგლისის ერთ-ერთი გემი. გამოკვლევამ დაადასტურა, რომ გემი არასწორად იყო აგებული, რადგან გემთმშენებლებს, თურმე, მცდარი ლოგარითმული ცხრილით უსარგებლიათ. აი, მაშინ გამოაშკარავდა, რომ ფუტკრებთან მოდავე მეცნიერს სწორედ ისეთივე მცდარი ლოგარითმული ცხრილით უსარგებლია. როდესაც მან ხელახლა შეამოწმა თავისი გამოთვლები, დარწმუნდა, რომ ფუტკრები ცამდე მართალნი იყვნენ.

ასე რომ, ფუტკრებმა უშეცდომოდ გადაწყვიტეს ამოცანა, რომლის ამოხსნა მხოლოდ სპეციალური ცოდნით შეიარაღებულ ადამიანებს შეუძლიათ. მაშ, ფუტკრის „ჭკუა" ოდნავ მაინც უახლოვდება ადამიანის გონიერებას? ნუ ჩქარობთ ასეთი დასკვნის გამოტანას.

ფუტკრების მოქმედება მშენებლობის დროს უპირობო რეფლექსების გრძელი ჯაჭვია.

ვინმემ რომ შემთხვევით თქვენს თვალთან თითი მიიტანოს, გუგები იმწამსვე შეხტებიან, მოიხუჭებიან. ეს არის სწორედ უპირობო რეფლექსი. აღგზნების სიგნალი გადაეცა ცენტრალურ ნერვულ სისტემას, იქიდან კი, თავის მხრივ, მოვიდა საპასუხო სიგნალი, რომელმაც შეაკრთო გუგები.



ინსტინქტური მოქმედების ეს თვისება, რომლის ერთ-ერთი ვიწრო სპეციალობა განსაკუთრებით აქვს განვითარებული ფუტკარს, საშუალებას აძლევს მას ააგოს რთული გეომეტრიული ფორმის უჯრედები. რაც შეეხება მის საერთო გონიერებას, იგი შეუდარებელად დაბალია, ვიდრე თვით შინაური ფრინველების გონიერება.

ქურდი ფუტკარი გასაქურდად ისეთ ოჯახს ირჩევს, რომელსაც დედა არა ჰყავს, ანდა სხვებზე სუსტია. ქურდები ჯერ გარშემო უფრენენ ხოლმე გასაქურდად შერჩეულ სკას, ზვერავენ, მერე ერთ-ორ ფუტკარს შეგზავნიან სკაში და, თუ მათ მოახერხეს თაფლის გამოტანა, მერე მთელი ჯარი მიჰყვება.

ოჯახის დამცველი ფუტკრები თავგამოდებით ებრძვიან ქურდებს. ისინი იბრძვიან მანამდე, სანამ ქურდები სკაში შესვლას მოახერხებენ, მერე კი თავს დამარცხებულად გრძნობენ და ბრძოლას თავს ანებებენ.

თუ გასაქურდ ოჯახს დედაფუტკარი ჰყავს, ქურდები პირველ რიგში მის მოკვლას ცდილობენ, რომ ამით მოწინააღმდეგეში არევდარევა შეიტანონ. უდედო ოჯახს კი ბრძოლისა და თავდაცვის უნარი უკვე აღარ აქვს და მალე მარცხდება.

## ფუტკარი და მედიცინა

განა მარტო თაფლს, ფუტკრის შხამსაც კი სამკურნალო თვისებები აქვს. უკბენს ფუტკარი ავადმყოფს და ცოტა ხნის შემდეგ იგი შვებას იგრძნობს.

აი, მაგალითად, არის დაავადება პოლიატრიტი: იგი სახსრების მწვავე ტკივილებსა და გადაგვარებას იწვევს, ხშირად კი ავადმყოფს სამუდამოდ მიაჯაჭვავს ხოლმე ლოგინს. აი, ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ იყენებენ ფუტკარს.

ბავშვთა სანატორიუმის ექიმი ნ. ნევეროვა მოგვითხრობს, რომ ხშირად, როცა ავადმყოფს მწვავე ტკივილების დროს ვერაფრით ვერ შველოდნენ, ვერც ელექტროპროცედურებითა და ვერც ტალახით მკურნალობით, მაშინ დახმარებისათვის ფუტკარს მიმართავდნენ ხოლმე. ავადმყოფის გასიებული სახსრის მიდამოებს ფუტკარს დააკბენინებდნენ. სიმსივნე იკლებდა, ტკივილი ყუჩდებოდა, სახსრის მოქმედებაც საგრძნობლად უმჯობესდებოდა. და ავადმყოფი ბავშვები, რომლებსაც პირველად ძალიან ეშინოდათ ფუტკრებისა, მერე თურმე თვითონ იხვეწებოდნენ, ფუტკარი მოგვიყვანეთო.

* * *

ქართულ ფუტკარს ყველაზე გრძელი ხორთუმი აქვს მსოფლიოში გავრცელებულ ყველა ფუტკარს შორის.

## ფუტკრის რატომ გეშინია?

ფუტკრის რატომ გეშინია?
არ ფლობს ეშვებს და მარწუხებს,
თაფლით ავსებს ოქროს ფიჭას,
შენი ჯავრი არ აწუხებს.

ინახულა მწვანე მთები
და მერცხლების საბუდარი.
შენ არაფერს არ წაგართმევს,
აქვს საუნჯე საკუთარი.

ისე შორი გზიდან მოდის
ყვავილების ფერად ზღვაში,—
უკვდავების წყაროს წყალსაც
იპოვნიდა სადმე გზაში.

არას გერჩის, დააცალე,
დაისვენოს, დაჯდეს დაბლა...
როგორც ფუტკარს ნექტრის სიტკბო—
დედის სიტყვაც გექცეს თაფლად!

**აკაკი გელოვანი**

გოდერძი ჭეიშვილი

ნახ. ჯ. ლოლუახი

# მეკარის კაპიტანი

მოთხრობა

ეს ჩემი უფროსი ძმაა. სწორედ მასზე თქვეს ლაშისღელელებმა, წაგების შეეშინდა და გაიქცაო. მე კი ვიცი, რომ ის სულაც არ არის მშიშარა და ლაშისღელელებს ტყუილად ჰგონიათ ასე. ბოლოს და ბოლოს, მან ხომ განგებ მიატოვა თამაში და მოედნიდან გაიქცა!

ეს კი, აი, ასე მოხდა:

საღამო ხანი იყო. ჩემი ძმა ბუზღუნით გადმოახტა ალაგეს, ბურთი აივანზე აისროლა და კიბეზე ჩამოჯდა ცხვირჩამოშვებული.

— რა იყო, ავთო, წააგეთ? — ვუთხარი და მივუახლოვდი.

მან მარცხენა ლოყა აღრიცა და გაოფლილი შუბლი მკლავებით მოიწმინდა.

— იქ ერთი ბიჭი იყო... ჩვენს კარებში იდგა, — მოულოდნელად ამოიოხრა და თვალი ამარიდა.

— ააა, — მივხვდი: იმ ბიჭს, ვიღაცაა, სამი-ოთხი ბურთი გაუძვრებოდა მაინც, — და უკმაყოფილოდ ვუთხარი:

— შეგეცვალათ!

— ის ოთარის დეიდაშვილია, — ისევ ამოილუღლუღა თავდახრილმა ავთომ.

— ჰე, ოთარის დეიდაშვილის შეცვლა არ შეიძლებოდა თუ! რა ამბავია?!



ჩვენი ახალი მეკარე ყველას ძალიან მოგვეწონა...

გამიკვირდა, რადგან ამ ოთარს თვითონაც სახვეწრად ჰქონდა გუნდში საქმე და ახლა კი, მისი გულისთვის კიდეც წაუგიათ-მეთქი!

— კი აბა, — ავთომ მწყრალად ამომხედა და განაგრძო: — ის ისე კარგად თამაშობდა, ნუგზარისთანა მეკარეს ათს სჯობია.

— მართლა?!

უკვე დავეჭვდი...

— აბა რა მოხდა?!

— თამაშის დაწყებამდე ვვარჯიშობდით. ჩვენ აქეთ ვიყავით, ლაშისღელელები — იქით. ჩვენ ათნი ვიყავით, ისინი — თერთმეტნი...

ამ დროს სამკითხველოს კარებიდან ოთარი და ვიღაც მასზე მაღალი ბიჭი გამოვიდა. ისინი ჩვენსკენ გამორბოდნენ. მოირბინეს და ოთარმა თქვა:

— აი, მეკარე...

იმ ბიჭმა გაიღიმა.

მე, როგორც კაპიტანმა, ავხედე, დავხედე. მას ძალიან ლამაზი სახე და ზევით აწეული წარბები ჰქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეორე ნახევარი რომ დაიწყო, მას თვალში რაღაც ჩაუვარდა.



ისეთი წარბები, უცბად რომ გაფიქრებინებს, სადაცაა იტირებსო. მაგრამ, როცა მის ნავარჯიშევ ტანსა და ღონიერ მკლავებს შევხედე, სულ არ მიფიქრია ასეთი რამ.

— მერე, მერე?!

— მერე... გავსინჯეთ და მოგვეწონა. ნუგზარმა იკივლა: მეშველაო, და წინ გავარდა. ხომ იცი, რა ძალათი გვყავს დაბმული კარებში ნუგზარი!

თამაში დავიწყეთ.

პირველი ნახევარი ჩვენ მოვიგეთ ერთი ბურთის განსხვავებით. ჩვენი ახალი მეკარე ყველას ძალიან მოგვეწონა... ბიჭებს გადავულაპარაკე: მთელი ზაფხული ერთად ვითამაშებთ-მეთქი.

მან კი რაღაცნაირად, თითქოს მორიდებულად მითხრა: ჩემი ნუ გეშინიათ, წინ, წინ ითამაშეთო.

მეორე ნახევარი რომ დაიწყო, მას თვალში რაღაც ჩაუვარდა.

შევწუხდით.

— არაფერია, არაფერია...—ამბობდა ის და აცრემლებულ, აწითლებულ თვალს საჩქაროდ ისრესდა და ისრესდა.

...მაინც ჩვენ ვჯაბნიდით მეტოქეებს.

ერთი ბურთიც გავიტანე და მოედნიდან გამოვედი, რომ ფეხსაცმლის თასმები მაგრად შემეკრა. თვალი მოედნისაკენ მქონდა· უცბად, შევამჩნიე, რომ ოთარი ჩვენს მეკარესთან მივარდა, მაჯაში ხელი წაავლო და პირით ხაზს იქით გაიქაჩა: გამოდიო. მეკარემ თავი გაიქნია და ჯიუტად რაღაცა წაიბურტყუნა.

შეშფოთებულმა ოთარმა ახლა ჩემთან მოირბინა და წამჩურჩულა:

— გეხვეწები, შეცვალეთ...

— რატომ?!

ოთარი რაღაცნაირად, შეწუხებულად დაიგრიხა, და მომეჩვენა, თითქოს რაღაც სხვა უნდა ეთქვა და სულ სხვა მითხრა:

— ხომ ხედავ, თვალი სტკივა...

—ეე,—მე ხელი ავიქნიე, რას ლაპარაკობ-მეთქი და გამობრუნება დავაპირე, რომ შორიდან წამოსულმა ბურთმა ნელა, სულ ნელა ჩაუარა გვერდით ჩვენს მეკარეს და გავიდა...

მეკარე კი, თითქოს ბნელში იდგა, ისე ასავსავებდა ხელებს.

შევკრთი.

ოთარმა, დაფაცურებულმა ოთარმა მიიხედ-მოიხედა, პირი ყურთან მომადო და მითხრა:

— გაიგე, მეორე თვალით სულ ვერ ხედავს. გამოცვალე, თუ ძმა ხარ, ბოლოს და ბოლოს მე დავდგები...

დავიბენი. გულში რაღაცა ჩამწყდა...

გაშტერებული შევყურებდი ჩვენს მეკარეს, მერე ოთარს, მერე ჩვენს მოთამაშეებს, მერე ისევ მეკარეს, რომელიც საოცრად დაძაბული იდგა კარებში... ამასობაში ბურთი აქეთ, ჩემსკენ გადმოგორდა. წამოვეწიე და გავაჩერე.

ჰოდა, არ ვიცი, ვერ გეტყვი რა იყო, რამ წამიბიძგა,—ბურთს მაშინვე დავწვდი და გამოვიქეცი.

მოთამაშენი გაკვირვებულნი მიცქეროდნენ.

როცა მოსახვევს მოვაღწიე, დარწმუნდნენ, რომ მართლა მივატოვე თამაში, და აყვირდნენ:

— მშიშარაა!.. მშიშარაა!..

ჩვენი ბიჭებიც მეძახდნენ:

— დაბრუნდიიი! დაბრუნდიიი!

მაგრამ მე აღარ მივბრუნებულვარ...

# კარგი ხარ ზღვაო!



სიმაღლე დაპყრობილია. უფრო ლამაზი, მშვენიერი გამოჩნდა აქედან სამშობლო მხარე!

გასცდება თუ არა მატარებელი ახალ ათონს, პატარა გვირაბით ივერიის მთის შუაგულში მიექცევა და, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, მცირე ხნით გაუჩინარდება. იქიდან, დღის შუქზე გამოჭრილი კი, პროფკავშირის პიონერთა ბანაკს ჩაუქროლებს.

ალვასავით ასვეტილ ანძაზე მიმაგრებულ ალამს აფრიალებს ზღვიდან მონაქროლი სიო. აქ ყოველ სისხამზე მაერს მკვეთავს სიცოცხლისა და სიხარულის მაუწყებელი პიონერული საყვირი.

ასე იწყება საბანაკო ცხოვრების თითოეული დღე. ასე იწყება, მაგრამ ეს დღეები როდი ემსგავსებიან ერთმანეთს, პირველი არა ჰგავს მეორეს, ხოლო მეორე—მესამეს. დღის რეჟიმი, რომლის შედგენაშიაც ერევა რაზმეულის საბჭო, მრავალ საინტერესო ღონისძიებას ითვალისწინებს. ლაშქრობა ღამის თევით, ექსკურსია სოხუმის მცენარეთმცოდნეობის მუზეუმში, გასეირნება კატერით, კარნავალი, თვითმოქმედების კონცერტი...

მაგრამ იმის გარდა, რასაც დღის რეჟიმი ითვალისწინებს, პიონერებს სხვა ბევრი საზრუნავიც აქვთ. აი, სწორედ ამ საზრუნავზე მინდა გიამბოთ.

ვანია ზადოროჟნი ჩვეულებრივი ბიჭუნაა. მკერდს წითელი ყელსახვევი უმშვენებს, ემორჩილება საერთო საბანაკო წესებს და, რა თქმა უნდა, თანარაზმელთა საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობს. მაგრამ ბანაკში მალე ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ ვანიას გაურჯელად ყოფნა ეხამუშება, ყოველნაირ საქმეს ეპოტინება. იმისთვის თუ არა თავისუფალ დროს, ლამარა ხელმძღვანელს მონახავს და საქმიანად ეტყვის:

—ოთახში საკიდი არა გვაქვს, თუ შეიძლება ერთი-ორი ფიცარი გამომინახეთ და ბიძია გიორგის უთხარით, საწყობიდან იარაღიც მათხოვოს.

— კეთილი!—ეთანხმება ლამარა.

ვანია, იშოვნის თუ არა მასალას, ხელგარჯილობის ოთახში ამოყოფს თავს. მცირეოდენ ნაფოტს ჩამოყრის, ბურბუშელას გროვას დააყენებს და ტანსაცმლის საკიდი მზად არის. განსაკუთრებული გულისყურით გააკეთა ვანიამ საკიდი მოსკოველი მეგობრებისათვის, რომლებიც მათ ბანაკში ისვენებენ. მოსკოვის 615-ე სკოლის მოსწავლეებმა ვალერი ტალნიკოვმა და გაიანე სტეფანიანმა მაგრად ჩამოართვეს ხელი ყურადღებისათვის ვანიას. ვაშლის ხეზე კოპწია საფოსტო ყუთი რომ ჰკიდია, ცხადია, ისიც ვანიამ გააკეთა.

როგორც წესი, ბანაკის ხუთივე რაზმი ცხრილის მიხედვით მორიგეობს. პიონერებს უფრო მეტად სასადილოში მორიგეობა მოსწონთ. რანაირი კერძის გაკეთებას არ ისწავლის აქ კაცი! და აი, მეორერაზმელები: მარია თადუმაძე, მერი აბრამიშვილი, ლუდმილა კავრიშკინა და ვაჟა ქოსონელიძე კუთვნილი მორიგეობის გარდაც ხშირად აკითხავენ ბანაკის უფროს მზარეულს.

— ხომ არ მოგეხმაროთ, დეიდა?

დეიდა ვერამ კი უკვე იცის თუ რომელი პიონერი რის შემძლეა და მალე ყველასათვის შესაფერ საქმეს პოულობს. მერიმ და ლუდმილამ შესანიშნავად ისწავლეს კისელის მომზადება. ამიტომ დეიდა ვერა, როცა მენიუში კისელს შენიშნავს, მათ ეძახის... ვაჟა მაშინვე ცულს წამოავლებს ხოლმე ხელს, რომ ქურაში ცეცხლი არ განელდეს. შეშის ჭრას იგი შესანიშნავ სპორტად თვლის—კუნთებს ამაგრებს, სუნთქვას არეგულირებს.

ბანაკის განაპირას, განმარტოებით პანტის ხე დგას. ეს ხე მეტად პოპულარულია ბანაკში. და მერე იცით, რა უცნაურ, არნახულ „ნაყოფს" ისხამს იგი! ამიტომ სახელიც ისეთი გამოუგონეს, რაც ალბათ არც ერთ მცენარეს არა ჰქვია: „გულმავიწყა". „გულმავიწყა" ხე პანტის გარდა ცხვირსახოცებს, წინდებს, პირსახოცებს და მაისურებსაც „ისხამს". „გულმავიწყას" ბევრი მუშტარი ჰყავს, თუ ვინმეს რამე დაეკარგა, მის ტოტებზე ჩამოკიდებულს ნახავს. ამიტომ, რაც „გულმავიწყა" გაჩნდა, „დამეკარგა" აღარავისგან გაუგონიათ ბანაკში. სამაგიეროდ, დღეში ათჯერ მირბიან მასთან და-ძმა მარინა და ვალერი ბოგდანოვები, ოქტომბრელები ვახტანგ მაშიაშვილი, რომო სარგალაძე და სხვები. „გულმავიწყა" საყვარელ ხედ იქცა. მას არასოდეს დაივიწყებენ პიონერები!

ზღვისპირა ბანაკში მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც ზღვა არის.

პიონერებს ერთი სული აქვთ. სანამ ზღვაზე წასვლის ნებას მიიღებენ. წყალში ცურვა რეჟიმის გარეშე დარჩენილი და ამინდზეც არის დამოკიდებული, ამიტომ მზის გამოჩენას ვაშას შეძახილით ხვდებიან მეგობრები.

მაგრამ უფროსრაზმელებს დიდი საზრუნავიც ახლავთ თან,—მათ მეთვალყურეობა ევალებათ. განა ცოტაა ბანაკში ისეთი პიონერი, რომელმაც ცურვა არ იცის, ან საერთოდ ზღვა სულაც არ უნახავს...

—ბიჭებო, უსათუოდ უნდა ჩამოვაყალიბოთ გადამრჩენელთა რაზმი,—უთხრა ერთხელ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ სონია მიქუტიშვილმა პირველი რაზმის პიონერებს.

სონიას წინადადება სიამოვნებით მიიღეს. გადამრჩენელთა რაზმის უფროსად თბილისელი თანრიგოსანი მოცურავე ვაჟა ქოსონელიძე დანიშნეს. რაზმის წევრებმა: ნიკოლოზ მოროზოვმა, ნელი შატალოვამ, ვლადიმერ ორლოვმა, ვლადიმერ შაფირკინმა, გალინა სტეპანიანმა მოიმარაგეს რეზინის კამერები. თვითონ კი ზღვაზე ბანაობის დროს გამუდმებით დაცურავენ ხოლმე ბავშვების შორიახლოს და თვალყურს ადევნებენ პატარებს, რომ ისინი ზღვაში ჩაშვებულ ტივტივა ალმებს არ გადასცილდნენ, რომ გაჭირვების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიეხმარონ...

აი კიდევ ერთი საზრუნავი, რომელიც ახალი ათონის პიონერთა ბანაკში გაუჩნდათ. ბანაკის ტერიტორიაზე ორმოცამდე ძირი ვაშლი, მსხალი, პანტა და ტყემალი ხარობს. ბავშვებმა ეს რომ დაინახეს, სიხარულით ცას ეწივნენ და ხეებზე მასიური ასვლა დაიწყეს. ცხადია, ხელმძღვანელები ჯავრობდნენ მაგრამ მათი თვალი ყველგან ხომ ვერ გასწვდებოდა? ბოლოს, რაზმეულის საბჭო შეიკრიბა და სპეციალურად იმსჯელა. გადაწყდა, ხეხილის ნარგავებზე საერთო საბანაკო კონტროლი გამოეცხადებინათ. თითოეულ პიონერს დაევალა ხეხილის შეფობა. ასეთმა ღონისძიებამ კარგი შედეგი გამოიღო, რამდენიმე დღეს ხეებს არავინ მიჰკარებია. ერთხელ კი... ერთხელ კვლავ წასძლია სულმა გენადის და ვაშლზე აიპარა. ბიჭმა უბე გაივსო და, ის იყო, ჩამოხტომას აპირებდა, რომ მოულოდნელად ოქტომბრელებმა ალყა შემოარტყეს.

— მე, დაგიჭირეთ!.. ახლა რაღას იტყვი?..

„მმ, ეს ციცქნა ბიჭები რას მიზამენ!"—გაიფიქრა გენადიმ და ხიდან ისკუპა, მაგრამ ოქტომბრელთა ხელიდან დასხლტომა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ისინი ირგვლივ შემოეხვივნენ და ურჩი დამნაშავე პიონერთა ოთახში მიიყვანეს. გენადიც აღარ გასძალიანებია, რადგან გრძნობდა, სიმართლე პატარების მხარეზე იყო.

საღამოს, ხაზზე, პიონერხელმძღვანელმა ოქტომბრელთა რაზმს სიფხიზლის გამოჩენისათვის მადლობა გამოუცხადა.

ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი საზრუნავი აქვთ პიონერთა ბანაკის პიონერებს, რაც საბანაკო ცხოვრებას ელფერს მატებს, შნოს აძლევს.

უშ. ზარეკიძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს სასადილოში მეორერაზმელები მორიგეობენ.



შაშის მაგიდასთან გააფთრებული ბრძოლაა.





ხან მეგობრული საუბარი, ხან ზღვის გრილი ტალღები...



# მზე შინა და მზე გარეთა

ბიჭებს მოუსვენრად ეძინათ. ვილი ხელმძღვანელმა გუშინ დილით თქვა: ხვალ ადრიანად სალაშქროდ მივდივართო.

— ბიჭო, ვოვა, გძინავს?—გადაუჩურჩულა გიორგიმ ამხანაგს.

— მძინავს არა!..

— ბიჭო, იქნებ ახლა მაინც ვნახოთ ტურას ბუნაგი, ა?..

—შენს პირს შაქარი, მაგრამ... ეჰ, ეს ამოდენა ხალხი ტურას კი არა, ვეფხვების ჯოგს დააფრთხობს.

— ჩვენთვის რომ ეცლიათ?..

— ნეტა ვინ გაგვთქვა? — დაეჭვდა ვოვა პრუდსკოი.

საქმე იმაშია, რომ ვოვასა და გიორგის რაზმის გოგო-ბიჭებმა გუშინ შავი დღე დააყენეს. იმიტომ, რომ დაჰკრეს ფეხი და მარტოდმარტონი ტურას ბუნაგის საძებნელად ულრან ტყეში წავიდნენ. ან რას აიჩემეს, ან რას ეძებდნენ ეს ბიჭები? კიდევ კარგი, რომ რაზმში მალე შეიტყეს მათი გაუჩინარება და საძებნელად აიშალნენ, თორემ ვინ იცის, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ ფათერაკის მაძიებელნი. იპოვნეს და ისე შეარცხვინეს ორივე, რომ ტყეც დაავიწყეს და მინდორიც. «მელა კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიჰქონდაო»—იწვნენ და ახლაც იმას ჩურჩულებდნენ, იქნებ ბუნაგს წავაწყდეთო.

— ბიჭო, ვოვა, ხელმძღვანელი რომ დაგვპირდა, თოფს წამოვიღებო, წამოიღებს ვითომ?—დაინტერესდა გიორგი.

... საყვირის ხმამ ბანაკს გათენება ამცნო. გამოეფინა მთელი ბანაკი და სალაშქრო მზადებას შეუდგნენ. ბევრი პირველად მიდიოდა მთის ბილიკით, ფაციფუცში ზოგს ყველაფერი ზედ აეკიდებინა, ზოგს კი აუცილებელიც დავიწყებოდა. შეადგინეს მარშრუტი და გზას გაუდგნენ. პირველ ხანებში იოლად მიიწევდნენ წინ, შემდეგ კი გზა თანდათან გაძნელდა. რამდენი რამის ცოდნა ყოფილა საჭირო! ზოგს რომ კითხო, ლაშქრობას რა უნდა, დადექი და იარეო,—იტყვის, მაგრამ ასე როდი ყოფილა საქმე. სიარულსაც ცოდნა უნდა თურმე. ზოგს ბებერა დააჯდა ფეხზე, ზოგმა კი ახლა აღმოაჩინა ზედმეტი ნივთები: ერთი ვაი-ვიში შეჰქმნეს—რად გვინდოდა, რომ მოვათრევდითო. ასე თუ ისე, უძოს მთას გადასცდნენ და ბანაკი მთის ფერდობზე გაშალეს.

ტყეში ხალისს რა დალევს. გოგონებმა ყვავილების გვირგვინი დაიდგეს თავზე, ხელიც ყვავილებით დაიმშვენეს.

რაც მართალია მართალია,—ბანაკში პირველად გოგონები და ბიჭები განზე გაუდგნენ ერთმანეთს, მაგრამ დრომ დაამეგობრა ისინი



—აბა სწრაფად, ჩემო პატარა, თორემ შენმა ტოლებმა უკვე მოგასწრეს და საცაა ხაზზე დადგებიან,—ეუბნება ლუიზა კარაჩოვა პატარას და თან ჩაცმაში შველის.

—ნაწნავების მოყვარულმა გოგონამ თმების დაწნვაც უნდა იცოდეს. შენ კი... ეჰ,—აბა, თავი ასე დაიჭი,—და მარინე მგელაძე ოსტატურად უწნის გოგონას გრძელ თმებს.

ზოგს ლილი ასწყდა, ზოგს წყლის მოტანაში დამხმარე დასჭირდა—წაეშველნენ ერთმანეთს. ახლა კი უერთმანეთოდ ფეხსაც არ გადაადგამენ. მეგობრობა მეგობრობაა, მაგრამ ბიჭებს მაინც ეწყინათ, რომ ლუდმილა შებიტოვამ ლაშქრობის დროს გამართულ თამაშობაში ყველას აჯობა. შეჯიბრება გამართეს გულისყურსა და გულისხმიერებაში. ბანაკის უფროსმა გამოაცხადა:—ყველამ მოისმინოს ჩემი ბრძანება, ყველაფერი უნდა შესრულდეს, მაგრამ ამ „მაგრამშია“ თამაშის საიდუმლო: თუ ბრძანებას წინ დაერთვის სიტყვა «ბანაკო», მაშინ იგი უნდა შესრულდეს; მაგალითად, თუ ვიტყვი «ბანაკო, სმენა!»—ყველა სმენაზე უნდა დადგეს, თუ «ბანაკოს» გარეშე იქნება ბრძანება «სმენა»!—ბრძანება არ უნდა შესრულდეს.

—სმენა! პიონერებო, წყაროსკენ სირბილით იარ!—გაისმა ბანაკის უფროსის ბრძანება. მოსწყდნენ ბავშვები ადგილიდან და კისრისტეხით გაიქცნენ. ვინც გულისხმიერება გამოიჩინა და ადგილზე დარჩა, ბევრი იცინა, რადგან თამაშის პირობის თანახმად ბრძანებას წინ არ უძღოდა სიტყვა «ბანაკო». ვინც გაიქცა, თამაშიდან გავიდა. დარჩენილებს შორის გაძნელდა კონკურსი. ჯერ ათი დარჩა, მერე ხუთი, ბოლოს ორი, სულ ბოლოს კი—მარტო ლუდმილა. ვერა და ვერ მოაცვლევინეს მას ადგილიდან ფეხი. კიდეც გაიმარჯვა და, შინ რომ დაბრუნდნენ, საღამოს, პიონერულ ხაზზე, გამარჯვების აღსანიშნავად ჯილდო გადასცეს.

შინ დაბრუნებულებს გოგი გოშაძემ, გიორგი ტუბურჩინსკიმ და ოლეგ ჯაიანმა მოულოდნელი საჩუქარი მიართვეს: ტყეში სადღაც მთის ზამბახი უპოვნიათ—ჩუმად ფესვიანად ამოუღიათ. ასევე უჩუმრად უკან დაბრუნებულ მოლაშქრეებისათვის წინ გამოუსწრიათ და ზამბახი ბანაკში დაურგიათ, რაზმის ხელმძღვანელს—ჟანა არუთინოვას ძალიან უყვარს ყვავილები, სულ ყვავილებზე გველაპარაკება და მის გასახარელად მოვიტანეთო,— ამბობდნენ ბიჭები. ხელმძღვანელმა მართლაც გულით გაიხარა.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს—სოფიო მგელაძეს რომ ჰკითხოთ, გოგონებს ერთი წუთით არა აქვთ მოცლა. და ეს მართლაც ასეა. მეორე რაზმის გოგონებმა პატარებზე შეფობა იკისრეს. საწოლებს უსწორებენ, ულაგებენ. მზრუნველობის ქვეშ ჰყავთ. ეგ კიდევ არაფერი. აბა, დამლაგებელს, დეიდა თამარს მოვუსმინოთ:

— ღმერთმა უშველოთ, დიდები ვართ და თქვენ რატომ გაგრჯითო, ხელი არ გვივარგა, თუ ფეხიო? თვითმომსახურება ისმის ყველგან და ჩვენ რა გამონაკლისი ვართო. დეიდა თამარ, ჩვენს პალატაში ნუ შემოხვალთო, და არც შევდივარ. სარკესავით გააქვს იატაკს კრიალი. კედელ-ყურე ნახეთ, ერთი ბეწო მტვერს ვერსად ნახავთ; გოგონები თვითონ უვლიან თავის თავს, არც მილაგება სჭირდებათ და არც შეხსენება—სისუფთავეს მიხედეთო.

მოიღრუბლა. ცოტაც და..., წამოვიდა კოკისპირული წვიმა. როგორც იქნა, გადახურულს შეეფარნენ მეგობრები. ერთი ყიჟინა და ხმაური იდგა.

— სერგო, აქეთ, აქეთ!..—უეცრად აჰყირდნენ ბავშვები. პატარა ბიჭი წვიმაში თავქუდმოგლეჯილი მორბოდა, მანაც გადახურულისაკენ აიღო გეზი.

— სერგეი აქ არის?—იკითხა გალუმპულმა. ამ დროს, სად იყო და სად არა, სერგეიც გამოძვრა, სერგოს მშრალი ხალათი მოუტანა. ბიჭებმა სიცილი ატეხეს: დიდი ძმაკაცები არიანო. პირველად, როცა სერგეი მამამ ბანაკში მოიყვანა და დატოვა, ტირილით ცა და მიწა შეძრა—მამა მინდა, სახლში წამიყვანოსო. როგორც იქნა, გააჩუმეს, დაუყვავეს. მალე ისე შეეჩვია ტოლებს, რომ სიცილადაც არ ყოფნის პირველი დღის გახსენება. ამ გულჩვილი ბიჭისა და სერგოს მეგობრობაც ამ შემთხვევის გამო დაიწყო. პირველ დღეს სერგო დავითაშვილმაც ბევრი იტირა, სახლში წამიყვანეთო. მას სერგეი მოუყვანეს. «ნეტა, რა გატირებს, მეც ამ დღეში ვიყავი, მაგრამ ახლა წასვლას არ ვაპირებ. სირცხვილია, დამიჯერე, ნუ ღრიალებ!»—აჩუმებდა და თან ანუგეშებდა სერგეი ბიჭს. მალე ისე დამეგობრდნენ, რომ ახლა ერთ ნაბიჯზეც არ შორდებიან ერთმანეთს.

— რა დროს წვიმა იყო!—დარდობს პირველი რაზმის ფრენბურთის კაპიტანი.—ვარჯიში გვქონდა და...

ბანაკის სპორტსმენები თურმე დიდ სამზადისში არიან, მალე საბანაკო სპარტაკიადა დაიწყება და, ხომ იცით, ყველა ცდილობს თავი არ შეირცხვინოს...

**რ. დვალიშვილი**

კოჯორი. მშენებელთა და საშენ მასალათა პროფკავშირის პიონერთა ბანაკი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანაკის ვერც ერთ პიონერს ვერ ნახავთ, რომ სპორტის რომელიმე სახეობით არ იყოს გატაცებული.



ლაშქრობაში წასულ პიონერებს ძალა შემოეპარათ, ნაძვის და ფიჭვის ნორჩ ტყეს შეაფარეს თავი და სულ მალე ყვავილების შეკრული გვირგვინებით დაიმშვენეს თავები.



—როდემდის უნდა იყო ასეთი ანცი და მოუსვენარი, დილით დაკერებული ღილები საღამომდე ძლივს მოგყვება ხოლმე,—ტუქსავს ალექო გურნიშვილს ლუდმილა მურაშინა და თან ღილს უკერებს მას.

8009



# სინანული

ელენე ჯიბლაძე

ნახ. მ. დაუშვილისა

მოთხრობა

ეს დიდი ხნის ამბავია. ძალიან ცელქი რომ ვიყავი, ამას ახლაც ვგრძნობ, მაგრამ რატომ გამოვედი უსაქციელო, ვერც ახლა ავხსნი. მახსოვს, ერთი ჩვენი მეზობელი ჭაბუკი ხშირად ამბობდა:

— რატომ გამაჩინე მამაჩემო, რა გინდოდა ჩემგან?..

ეს მე მომწონდა. ალბათ, ის ხუმრობდა დარდიმანდულად. მაშინ ხუმრობისა თუ დარდიმანდობის რა გამეგებოდა! ხუთი წლის არც კი ვიქნებოდი.

მუდამ ვჩხუბობდი, არა მარტო ჩემს ტოლებთან, მოზრდილებთანაც. ამიტომ იყო, რომ ერთ დღეს ცხვირი გამიტეხეს. დედა, ცოტას გაწყდა, არ გაგიჟდა, როდესაც დაინახა სისხლით შეღებილი ჩემი სახე. ჩემი ტირილი გაეგონა და ჭიშკართან მოვარდა.

საღამოს, როდესაც მამა მოვიდა ყანიდან და გაიგო, რომ მე „ომგადახდილი“ ვიყავი და თანაც „დამარცხებული“, მეტად ეწყინა და დედას უსაყვედურა: ბავშვს რატომ ვერ უვლიო.

„აჰა,—გავიფიქრე მე,—დედა ყოფილა დამნაშავე, მე რომ ცხვირი მომინგრიეს“. და შემდეგში ვაყვედრიდი: „ვერ მომჩიარე, ცხვირი მომინგრიეს-მეთქი“.



ერთ დღეს ცხვირი გამიტეხეს...

დედა მასწავლიდა, მარიგებდა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი. მე კი სიტყვას ვუბრუნებდი: ცუდი თუ ვარ, ისევ თქვენი ბრალია, თქვენი შვილი ვარ და თქვენ გამაჩინეთ ასეთი ცუდი-მეთქი. დედა შეწუხდებოდა, გამიჯავრდებოდა, ხან წყევლასაც დამიწყებდა. ეს პატარაობისას იყო, მაგრამ, რომ წამოვიზარდე, არც შემდეგ ვყოფილვარ უკეთესი... მხოლოდ, უფრო მოხერხებულად ვიქცეოდი, „ჩემს სასარგებლოდ“, როგორც მაშინ ვფიქრობდი. მამას ამდენი ჩემი ცუდი ქცევა არ ახსოვს, რადგან ადრე გარდაიცვალა. მაგრამ დედა... გატანჯული იყო ჩემგან.

ერთხელ დედაჩემი მეზობლის ქალებს ესაუბრებოდა. მეც იქ გავჩნდი, ყურს ვუგდებდი, ცნობისმოყვარე ვიყავი. ერთ მათგანს ოთხი შვილი ჰყავდა, წუწუნებდა—რჩენა მიჭირსო. მეორე შეესიტყვა:

— ქალო, რისა გეშინია, რაც გააჩენს, ის დაარჩენს...

მე მაშინ შვიდი წლისა ვიყავი, რატომღაც მომეწონა სიტყვები: „გააჩენს... დაარჩენს“ და დავიმახსოვრე.

უკვე მოწაფე გავხდი. სკოლიდან მოსული არც გაკვეთილებს ვუდებდი გულს და არც რაიმე საქმეს ვკიდებდი ხელს. თავს არ ვიწუხებდი. გავიძახოდი: „ვინც გამაჩინა, მან დამარჩინოს“.

დედას იბარებდნენ მასწავლებლები, რჩევა-დარიგებას აძლევდნენ, დედა კი მე მარიგებდა. გულში მეცინებოდა: „რა სწავლა, რის სწავლა, შენ გამაჩინე, შენ დამარჩინე“... დედა ცხარობდა...

სკოლაში გაეგოთ, რომ მე დედას ვეპასუხებოდი: შენ გამაჩინე, შენ დამარჩინე-მეთქი და „გამაჩინე-დამარჩინე“ შემარქვეს. აბა, დაცინვას ვის ვაპატიებდი?! დავერეოდი მათ, როგორც ქორი წიწილებს. ატყდებოდა ერთი წიოკობა.

გადიოდა წლები. გული ვერ დავუდე სწავლას. ბოლოს სკოლაც მივატოვე.

დედა ბევრს ეწვალა, ცდილობდა სკოლას დავბრუნებოდი, მაგრამ ამაოდ... მას ყოველთვის ეშინოდა ცუდ გზას არ დავდგომოდი. ეს დარდად ჩაჰყვა მიწაშიაც. სიკვდილის წინ მითხრა:

— ჩვენ ღარიბები ვართ, უქონებო, უმიწაწყლო... უშრომლად როგორ უნდა იცხოვრო?!.

ისე თქვა, თითქო ვედრებით მიბარებს — იშრომეო. მეოცა ეს... რა ვიცოდი თუ კვდებოდა. თვალებზე ცრემლები შეაშრა და განაგრძო:

— ვერ შეგაჩვიე შრომას... ჩემი ბრალია!..

მისი კეთილი ბუნებით თუ იყო, რომ ის ყოველთვის თავის თავს სდებდა ბრალს. მე კი ამით ვყოყოჩობდი: დედაჩემია დამნაშავე ჩემს წინაშე-მეთქი. მას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ ზარმაცი ადამიანის გზა ციხისკენააო. ვატყობდი, ახლაც ეს უნდა ეთქვა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს... დადუმდა სამუდამოდ.

* * *

ანდრე ბიძიას დახმარებით გავყიდე ჩვენი ოროთახიანი სახლი. მიღებული ფულით დედის ხარჯისათვის აღებული ვალი დავფარეთ. სხვა ნაგებობა ჩვენ არ გვქონდა. ოჯახის ნივთები ბიძასთან გადავიტანე და გადავედი დროებით მასთან საცხოვრებლად. თუმცა სრულწლოვანი ვიყავი, ანდრე მაინც არ მაკლებდა მზრუნველობას. თანაც მეუბნებოდა, შენ ხარ ჩემი მესამე შვილიო.

მაგრამ ანდრე ბიძიას ჰყავდა მეუღლე, — ბიცოლა მაკა...

სოფელში, განა მარტო ბიცოლა მაკა, ყველა ისეთი თვალით მიცქეროდა, თითქოს მე რამეში დამნაშავე ვყოფილიყავი. დედის სიკვდილის შემდეგ უფრო მეტად ვგრძნობდი ამას. მიკვირდა ეს და მინდოდა მომეცილებინა უსიამოვნო შეგრძნება.

მე და ბიძაჩემის ირგვლივ დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა. ზოგი ამბობდა, რატომ გააყიდვინა სახლი, თვითონ უნდა ეშოვა საჭირო ფული, მაგრამ სად და როგორ ეშოვა, ამას არ ამბობდნენ. ზოგიც აქებდა: კეთილი კაცია ანდრე, ყველაფერში დაეხმარა ობოლ ძმისშვილს და ახლა თავის სახლშიაც კი გადმოიყვანაო.

— უქნარა გიგლას მე არ გავაჩერებ სახლში, იმან მოკლა დედამისი!

— ქალო, ბავშვს კი არა, დიდს მოუვა შეცდომა. გაიზრდება, ჭკუაში ჩავარდება, კაცი გამოვა.

— გაიზრდებაო!.. განა სრულწლოვანი არ არის?

— მაშინ არ იყო სრულწლოვანი...

— ახლა რას აკეთებს?

— ყველაფერს გააკეთებს... რას ამბობ, ობოლი ძმისშვილი სად გავაგზავნო?

— სადაც მას სურს, იქ წავიდეს. მე მისი რჩენა არ შემიძლია!

— ვერსად ვერ წავა, აქ უნდა იყოს! — დაიყვირა ანდრე ბიძიამ.



— ქალო, რისა გეშინია, რაც გააჩენს ის დაარჩენს.

მე მესმოდა მეორე ოთახიდან ბიძა-ბიცოლას ეს ცხარე ლაპარაკი. ღამე იყო. ვიწექი, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. ვფიქრობდი იმაზე, რაც მოხდა.

ცხოვრებასთან პირისპირ აღმოვჩნდი. დედის ფრთეები აღარ მფარავდნენ, ცხოვრების სუსხს უშუალოდ ვგრძნობდი.

გავიგე, თუ რატომ ვძულდი ბიცოლა მაკას და მეზობლებსაც...

„კი ვიმუშავებ“—გავიფიქრე და, ცოტას გაწყდა, ცრემლები წამსკდა. „მაგრამ როგორ დავიწყო? სახლ-კა-

რი აღარ მაქვს!.. ჩემი თავმოყვარე ბუნება მოჯამაგირეობას ვერ შეეგუება!“ (ეს იყო 1924 წელს, მაშინ კოლმეურნეობა არ იყო სოფელში).

დიაღ, მე ვძაგდი თითქმის ყველას...

მრცხვენოდა, მინდოდა შორს წავსულიყავი, ძალიან შორს!..

ერთხელ ჩვენს სოფელს ქალაქში დასახლებული ჩვენი თანასოფლელი კაცი ესტუმრა. მე მას გავანდე ჩემი საიდუმლოება — თბილისს სამუშაოდ წასვლის სურვილი. მინდოდა თან გავყოლოდი. სტუმარმა იცოდა, რომ ბიძა არ მიშვებდა სოფლიდან, შეიძლება ამიტომაც იყო, რომ არ მომიწონა გადაწყვეტილება, მითხრა: არ გირჩევ ქალაქს წასვლასო.

მისი აზრის გასამართლებლად დაიწყო მტკიცება, რომ სოფლელი კაცი, ლაღ ბუნებას და სუფთა ჰაერს მიჩვეული, ძნელად აიტანს ქალაქის ცხოვრებასო.



მე მესმოდა მეორე ოთახიდან ბიძა—ბიცოლას ეს ცხარე ლაპარაკი.

მე ხომ რასაც მიშლიდნენ, სწორედ ის უნდა გამეკეთებინა. ახლა საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ უნდა გავპარულიყავი თბილისს.

აგვისტოს მიწურული იყო. წინადღით წაველი ღელეზე, დავრეცხე ჩემი დაკერებული შარვალ-ხალათი, დავფინე ყორეზე. მზე აცხუნებდა. მე კი გადავეშვი მდინარეში და დიდხანს ვბანაობდი, სილით ვიხეხავდი ტანს...

მეორე დღეს, ჯერ გათენებული არც კი იყო, რომ გავიპარე ბიძის სახლიდან. საგზლის წაღებაც არ ვიკადრე, ისე, როგორც იტყვიან, „ცარიელ-ტარიელი“ გავუდექი გზას. ქვეითად მივდიოდი. შიმშილს ვითმენდი. გამიჭირდა... შევრცხვი და, ვითხოვე პური.

ბოლოს, ერთმა კეთილმა მძღოლმა სატვირთო მანქანაში ჩამსვა.

თბილისს რომ მივედით, არ ვიცოდი სად წავსულიყავი, რა გამეკეთებინა. შიმშილს ვგრძნობდი. დავბორიალობდი ულაზათოდ. ამ ღოღიალში სადგურთან აღმოვჩნდი. მატარებლიდან ხალხი ჩამოდიოდა, მეც შევერიე მათ. ერთმა ქალმა მთხოვა, რომ ბარგის გატანაზე დავხმარებოდი. მეც ეს მინდოდა. მივაცილე სახლამდე. მისი მოცემული ფულით პური ვიყიდე. ისეთი გემრიელი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მიჭამია!..

განვაგრძე მტვირთაობა... პროფესიონალური მუშების იაფფასიანი „კონკურენტი“ ვიყავი. ღამეს სადგურში ვათევდი.

რამდენიმე დღის შემდეგ ტყავის ქარხანაში მოვეწყე მუშად. პირველად გამიჭირდა მუშაობა, დასამუ-



დედას შემდეგში ვაყვედრიდი: «ვერ მომიარე, ცხვირი მომამტვრიეს-მეთქი.»

შავებელი ტყავების ხუნი მაწუხებდა. მაშინ კი გამახსენდა ჩემი თანასოფლელის სიტყვები: სოფლელ კაცს, ლაღ ბუნებას და სუფთა ჰაერს მიჩვეულს, ქალაქში გაუჭირდებაო... რომ არ გამემართლებია მისი ნათქვამი, თავს ძალა დავატანე: მე ვაჟკაცი ვარ, ხუნი კი არა,



— ვერსად ვერ წავა, აქ უნდა იყოს!

ტყვია ვერ უნდა მომერიოს-მეთქი, და თანდათან ვმაგრდებოდი, ვეჩვეოდი შრომას.

ახლა კი ბედმა გამიღიმა, ბინა მომცეს მუშათა საერთო საცხოვრებელში. გამომუშავება კარგი მქონდა, კარგი ტანსაცმელიც შევიკერე.

ერთხელ ოთახის კარი გაიღო და ჩემი მეზობელი, ცალთვალა ჭაბუკი, პავლე შემოვიდა.

— თუ ძმა ხარ, გიგლა, ჩაქუჩი მათხოვე, ამანათი მინდა გავამზადო.

— ვის უგზავნი?

— დედაჩემს! — სთქვა პავლემ და სიხარულის შუქმა გადაჰკრა სახეზე.



თავი ბალიშში ჩავრგე და ცხარე ცრემლები დავღვარე.

მე შემშურდა მისი სიხარული.

პავლეს დიდი ხანია ვიცნობდი, ჩვენი ქარხნის მუშა იყო, მაგრამ თვალი რადა გაქვს დაბრმავებული-მეთქი, არასოდეს მიკითხავს მისთვის, მეუხერხულებოდა. ახლა კი ლაპარაკს შევყევი და მორიდებით ვკითხე:

— ბიჭო, თვალი როდის გიტკენია?

— ეს მე არ მახსოვს, ბავშვობის ამბავია... რომ იცოდე, დედაჩემი როგორ მებრალება და უფრო მეტად მიყვარს ამისათვის.

— რისგან მომხდარა ეს?

— ცეცხლისაგან. ბებიამ მიამბო, დედაშენი თავს იკლავდა, ძლივს გადავარჩინეთო. ახლაც როგორ სწუხს!.. მოხდა, რა ვუყოთ... მას ხომ არ უნდოდა, რომ მისი შვილი ცალთვალა ყოფილიყო!

ჩაქუჩი გამოვუტანე მეზობელს. მივბრუნდი. მოწყვეტით დავვარდი სარეცელზე... თვალწინ წარმომიდგა გატანჯული დედა... ყურებში მიწიოდა ჩემი უტიფარი სიტყვები: ცხვირი მომინგრიე, ვერ მომიარე... შენ გამაჩინე, შენ დამარჩინე...

თავი ბალიშში ჩავრგე და ცხარე ცრემლები დავაფრქვიე.



მეც მინდა ასეთი ვიყო

ფოტოეტიუდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



1860—1960

შესრულდა ასი წელი შესანიშნავი ქართველი ქალის მარიამ დემურიას დაბადებიდან.

1904 წელს მან დააარსა ჟურნალი «ნაკადული», რომელმაც მრავალი თაობა აღზარდა. სამშობლოს სიყვარული, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, ცოდნის სიყვარული, სწორედ «ნაკადულმა» ჩაუნერგა ნორჩებს. ამიტომ, ერისათვის მარად დაუვიწყარია ამაგდარი მარიამ დემურიას სახელი.

# მარიამ დემურიას სურათთან

**ხუტა ბერულავა**

ვიცი, გიყვარს დეიდები,
ვიცი, გიყვარს მამიდები,
მათ სურათებს როცა ნახავ,
შეჩერდები, გარინდდები.

ამ სახესაც შეაჩერდი.
რა თბილი და სათნო არი,
მას შენთანაც, როგორც სხვებთან,
ჰქონდა ერთი სათხოვარი:

სასახელო შვილი გახდე,
საქართველოს კარგი შვილი,
რომ შეჰმატო შენს ქვეყანას
სიყვარული და ღიმილი!

ხედავ, გიმზერს დედასავით,
ხედავ სახეს სანდომიანს, —
გარდა შენი სიკეთისა,
არაფერი არ სდომია.

ეს მარიამ დემურიას
დედობრივი თვალებია,
შენზე ფიქრსა და ზრუნვაში
ბევრჯერ ძალა დალევია.

შენზე ფიქრში ბევრი ღამე
თეთრად გაუთენებია,
მაგრამ დაღლა და წვალება
ერთხელ არ უხსენებია...

არა, იგი არ გიცნობდა,
შენ სად იყავ აბა მაშინ!
არ უნახავს შენი ლხენა,
შენი ცეკვა და თამაში.

შენ არ უნდა გაგიკვირდეს,
იმედით და რწმენით სავსე,
იგი შენზეც ოცნებობდა
და შენს ლამაზ მომავალზეც.

შორს მიჰქროდა ფიქრი მისი
და გამჭრიახ თვალთა მზერა,
მან მიუძღვნა ქართველ ბავშვებს
სიცოცხლე და გულის ძგერა.

მის ბავშვობას ნუღარ მკითხავ,
მწარე ცრემლიც ბევრი ჰღვარა
და დაკარგულ დედის ნაცვლად
„დედა ენა“ შეიყვარა.

შეიყვარა იმ შავ დროში
ტანჯული და გათელილი,
საქართველოს სიყვარული
წარიმძღვარა სანთელივით.

სანთელივით დაეღვენთა
ქართულ სიტყვას, ქართულ ანბანს,
და ბავშვების წმინდა გულში
სამუდამოდ ჩაისტამბა...

ნახა, იგრძნო, ქართველ ბავშვებს
რა უჭირდათ, რა ულხინდათ,
და თავისი საიდუმლო
მყის „ნაკადულს“ გაუმხილა.

„ნაკადული“! „ნაკადული“!
პატარების ცოდნის წყარო,
ხალხის გულში მიშვებული,
უშრეტი და უანგარო.

„ნაკადული“! „ნაკადული!“
ხალხის სულში ჩაქარგული,
სიხარული როდინდელი,
მაგრამ განა დაკარგული.

ვინღა იცის, რამდენ ქართველს
მისგან თვალი ახელია,
ეგ სახელიც წმინდა გულთა
სიყვარულის სახელია.

ო, მარიამ დემურია—
„ნაკადულის“ ტკბილი დედა!
ეგ სახელი ჩვენს გულებში
ნაკადულად ჩუხჩუხებდა.

მაშ, შეხედე მეტყველ თვალებს,
ისევ ცოცხლობს აზრი მისი,
და კაშკაშებს სახე მისი,
უკვდავების დაფნის ღირსი!

ეგ სურათი, სათნო სახე,
ნაწილია მნათი სულის,
არ გვენახოს დავიწყების
მკრთალი ნისლით დანისლული.

მოკრძალებით თაყვანი ეც
და სიკეთის ნერგი დარგე,
რომ შენც იყო შენი ქვეყნის
ნორჩთა გულთა მოამაგე!

# მამაცნი, სასახელონი

## პატივისცემა დაიმსახურეს

აბა, ვის არ გაუგონია, წლევანდელ ზამთარში ოთხი საბჭოთა მეზღვაური ჯარისკაცის გასაოცარ ამტანიანობასა და ნებისყოფაზე. მათ თითქმის ორი თვე გაატარეს წყნარი ოკეანის მიერ გატაცებულ მოდრეიფე კარჭაპზე, მშიერ-მწყურვალებმა, ზამთრის სუსხით გატანჯულებმა. მაგრამ მაინც გაუძლეს ყველა განსაცდელს და გადარჩნენ. სამშობლომაც თავისი ღირსეული შვილები სათანადო დიდებით შემოსა.

ბევრჯერ უხსენებიათ ამ შეუდრეკელი მეზღვაურების სახელები ცეროდენა ბიჭუნების: კოტე კაჭარავას, ვოვა ბუგიანიშვილსა და ტოლია სოინის ოჯახებშიც. პატარები ყოველთვის თვალებგაფართოებულნი, სმენადაძაბულნი ისმენდნენ უფროსების საუბარს და ოცნებაში მეზღვაურთა სახეები ზღაპრულ გმირებად ეხატებოდათ; მათ წარმოდგენაში ოკეანე, მოდრეიფე კარჭაპი და მეზღვაურობა ფანტასტიურ მშვენიერებად იქცნენ. ვოვა, კოტე და ტოლია განუყრელი მეგობრები არიან, ყოველ დღეს ერთად ატარებენ, ერთად თამაშობენ და ერთობიან. რამდენჯერ უმსჯელიათ მათ მამაცი მეზღვაურების გმირობაზე, რამდენჯერ გაუნდვიათ ერთმანეთისათვის ჩუმი ნაოცნებარი — მიებაძათ ოკეანის დამმარცხებელთათვის და სახელი გაეთქვათ ქვეყანაზე. და აი, ერთხელ ეს ოცნება კიდევაც „მოიყვანეს სისრულეში".

მაისის უკანასკნელი კვირა დღე იყო. მშობლები დილიდანვე სხვადასხვა საქმეებზე წავიდ-წამოვიდნენ. მარტოდ დარჩენილმა პატარებმა კვლავ ერთად მოიყარეს თავი.

— ბიჭებო, იცით რა მოვიფიქრე? მოდი, ჩვენც დავსხდეთ კარჭაპზე და ზღვაში გავიდეთ სამოგზაუროდ... ჰა, რას იტყვით? — თითქმის ჩურჩულით გაანდო მეგობრებს თავისი ნაფიქრალი ყველაზე უფროსმა, შვიდი წლის ტოლიამ.

ბიჭებმა ამ მოულოდნელი წინადადებისაგან ჯერ პირი დააღეს, მერე კი ორივე აღტაცებაში მოვიდა.

— მერე და კარჭაპი სადა გვაქვს? — იკითხა გაოცებულმა კოტემ.

— ეს მე ვიცი. მომყევით! — გასცა განკარგულება ტოლიამ და მეგობრებს იქვე, ხე-ტყის კომბინატისაკენ გაუძღვა. სამივენი ჩუმად შეიპარნენ ქარხნის ტერიტორიაზე. ტოლიამ გეზი იქით აიღო, სადაც მორების დასაცურებელი აუზი ეგულებოდა.

აგერ აუზიც. აქ მდინარე კოდორიდან არხით შემოდის წყალი. აუზის გვერდით უამრავი მორი ყრია. ერთი მორი კი იქვე ნაპირთან ტივტივებს წყალზე. ტოლიამაც მასზე მიუთითა:

— აი, ეს იქნება ჩვენი მოდრეიფე კარჭაპი. აბა, ავიდეთ ზედ.

— ტანისამოსიანად? ხომ დაგვისველდება? — შენიშნა ვოვამ.

— მართალია. სჯობს გავიხადოთ, — დაეთანხმა ტოლია.



აი, ისინიც, მამაცი პიონერები: ლიონია ბოიდენკო და ლევან შონია. მათ მიერ გადარჩენილი პატარა ბიჭუნები ვოვა ბუგიანაშვილი და ტოლია სოინი დაუმეგობრდნენ პიონერებს.

ბიჭუნები რის ვაი-ვაგლახით გადააჯდნენ მორს და ჰერი,—გასწიეს „სამოგზაუროდ“. მაგრამ ვაი ასეთ მოგზაურობას! სულ რამდენიმე წუთი და... „კარჭაპი“ უეცრად გადატრიალდა. ნორჩი „მეზღვაურები“ ღრმა წყალში ჩაცვივდნენ...

სწორედ ამ დროს, იქვე გზად მიდიოდნენ თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭები ლიონია ბოიდენკო და ლევან შონია. პატარების განწირულმა ყვირილმა ისინი აუზისაკენ მიახედა; თვალი მოჰკრეს თუ როგორ გადაყირავდნენ ბავშვები წყალში.

— არიქა, ბიჭო, ვუშველოთ!—შესძახა ლიონიამ და ორივენი ელვის უმალ აუზთან გაჩნდნენ. ტანთ გახდის დრო სად იყო, წამებზე ეკიდა პატარების სიცოცხლე, და ბიჭებიც პირდაპირ შევარდნენ წყალში...

ფსკერამდე სულ ცოტაღა უკლდა ტოლია სოინს, როცა მას ლიონიას ხელი მისწვდა და ნაპირისაკენ გაიყვანა. ცნობადაკარგული ბავშვი ლიონიამ მიწაზე დაასვენა და მოსულიერება დაუწყო.

ამასობაში ლევანმა ვოვა გამოიყვანა სამშვიდობოზე და ახლა კოტეს მისაშველებლად კვლავ შევარდა წყალში.

მაგრამ ლევანს უკვე ელეოდა ძალა, იგი საშინლად დაღლილიყო და ლიონია რომ არ მიშველებოდა, შეიძლება თვითონვე გამხდარიყო წყლის მსხვერპლი.

მალე სამივე „თავგადასავლის მოყვარული“ ბიჭუნა აუზის გვერდით მორებზე იყო ჩამომსხდარი და შიშნაჭამნი ცრემლებს იწმენდნენ. მათ თავზე ადგა და ამშვიდებდა ორი მამაცი პიონერი.

ეს ამბავი სწრაფად გახმიანდა. ლიონიასა და ლევანს ყოველ მხრიდან მხოლოდ ქების სიტყვები ესმოდათ. გადარჩენილი პატარების მშობლებს კი, აბა რა სიტყვებით უნდა გამოეთქვათ თავიანთი მადლიერება!

ლიონიასა და ლევანის თავგანწირულებამ ყველაზე მეტად კოდორის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეები გაახარა. ისინი ამაყობენ ამ გამბედავი თანაკლასელებით. სკოლაში სასწრაფოდ გაიმართა პიონერული რაზმის საზეიმო შეკრება. ხაზზე ჩამწკრივებულმა პიონერებმა მეხუთეკლასელ ლიონია ბოიდენკოსა და ლევან შონიას თავდადებული საქციელისათვის მადლობა გამოუცხადეს.

ორივე პიონერმა თავიანთი ტოლ-ამხანაგების საყოველთაო და მუდმივი პატივისცემა დაიმსახურა.

## სვეტლანას თავდადება

ქალაქ ოჩამჩირიდან ტყვარჩელისაკენ მიმავალი სამანქანო გზა სულ მაღლა და მაღლა მიიწევს. გარშემო, საითაც თვალი მიწვდება, ყველაფერი ზღვისფრად ხასხასებს. მთელი მიდამო ნაირ-ნაირი ხეხილითა და მარადმწვანე მცენარეებითაა დაფარული. აქა-იქ გადაჭიმულ ჩაის პლანტაციებში მრავალი ჭილისქუდიანი ჩამწკრივებულა. საოცარი სისწრაფით ტრიალებენ მათი ხელები ქოჩორა ბუჩქების თავზე და ხვავდება კალათებში „მწვანე ოქრო“.



კიდევ ერთი მკვეთრი მოსახვევი, შემდეგ შეღმართი და ავტობუსი ბექობებზე მიმოფანტულ სოფლის შუაგულში შეგაქროლებთ. ეს გუფია, ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე მაღლა მდებარე სოფელი. აქედან, ქვანახშირის საბადოებით მდიდარ ტყვარჩელამდე სულ რაღაც თორმეტიოდე კილომეტრია.

სოფელში ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, გზის მარცხენა მხარეზე, ორსართულიანი შენობაა წამოდგმული—გუფის შვიდწლიანი სკოლა. აი, ამ სკოლის კედლებში იზრდება სვეტლანა ბობოხია—ცამეტი წლის გოგონა, რომლის მამაცურმა საქციელმა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

... მაისის მიწურული იყო. გუფის სკოლის მოსწავლეები დროებით ემშვიდობებოდნენ თავიანთ სკოლასა და აღმზრდელ-მასწავლებლებს. მასწავლებლებიც, თავის მხრივ, სასწავლო წლის დამთავრებას ულოცავდნენ და საზაფხულო არდადეგების მხიარულად, შინაარსიანად გატარებას უსურვებდნენ პატარებს.

სვეტლანაც დაემშვიდობა მასწავლებლებს, ტოლ-მეგობრებს და სიხარულისაგან ფრთაშესხმულმა სკოლის კიბე მკვირცხლად ჩამოირბინა. ჰქონდა სიხარულის მიზეზი გოგონას: მისი წლიური ნიშნების ფურცელი მხოლოდ ხუთებით იყო დამშვენებული.

იგი აჩქარებით გაეშურა შინისაკენ. ვინ იცის, რა მოუთმენლად მიელიან სახლში. ალბათ, სულ გზისკენ უჭირავთ თვალი ნაზისა და მარგარიტას—საყვარელ უმცროს დებს. გონების თვალით ხედავს, თუ როგორ აუცრემლდება ბედნიერებისაგან თვალები დედას, როცა მისი პირმშო სწავლის წარმატებით დამთავრებას შიახარებს.

და განა მარტო სვეტლანას შინაურებს, ახლომახლო მცხოვრებლებსაც გულით უყვართ ეს დაუზარელი, ჭკვიანი გოგონა, მათაც უხარიათ მისი წარმატება.

სვეტლანამ სამანქანო გზიდან საურმეზე ჩაუხვია. ქვემოთ რკინიგზის ლიანდაგი თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. ამ რკინიგზაზე ტყვარჩელის ქვანახშირითა და მგზავრებით დატვირთული მატარებლები დაჰქრიან დღედაღამ. სვეტლანამ

რკინიგზა უნდა გადაიაროს, მერე კი მისი სახლი შორს როდია, ხელად მივა შინ.

ის იყო, ფიქრებში გართულმა ხტუნვა-ხტუნვით ჩაათავა დაღმართი, რომ მოულოდნელად „მმმუო“ — შემოესმა. გოგონა შედგა და იქით გაიხედა, საიდანაც ზმუილი გაიგონა. ლიანდაგის გაყოლებით გაჭიმულ ბარდებს კოლმეურნეობის ნახირი შესეოდა და ნება-ნება ეტანებოდა მწვანე ფოთლებსა და ნორჩ ყლორტებს. რამდენიმე ძროხა კი ლიანდაგში გადასულიყო.

„სად გადასულან უგუნურები! — შეშფოთებით გაიფიქრა გოგონამ, — საცაა, ალბათ, მატარებელი ჩამოიქროლებს და ხომ გასრისა ესენი!“ დაყოვნების დრო არ იყო. სვეტლანამ იქვე ხეს საჩქაროდ მოსტეხა ტოტი და გამალებით დაიწყო ნახირის გადარეკვა სოფლის გზაზე გადასასვლელისაკენ. მაგრამ ძროხები, თითქოსდა აქ არაფერიაო, ერთ ხანს აინუნშიაც არ აგდებდნენ გოგონას შეძახებასა და სახრეს, ყველა თავის ნებაზე მიიწევდა, საითაც თვითონ მოეპრიანებოდა. სწორედ ამ დროს ზემოდან ყრუ გრიალი მოისმა. აშკარა იყო, რომ მატარებელი მოჰქროდა. სვეტლანამ ახლა მეტი გამეტებით შეუტია საქონელს. გადასასვლელამდე სამოცდაათი მეტრი კიდევაა დარჩენილი. „ოღონდ როგორმე მოვასწრო გადარეკვა, ოღონდ როგორმე მოვასწრო!“ — გაუელვებს შიშატანილ გოგონას და თავდაუზოგავად ურბენს ძროხებს აქეთ-იქიდან, გამწარებით სცემს სახრით.

და აჰა, მატარებელიც გამოჩნდა, მთელი სვლით მომავალი, ნახირის უმეტესობა უკვე სამშვიდობოზეა გადასული, მაგრამ ზოგიერთი ძროხა, თითქოს წერას აუტანიაო, არა და არ ჩქარობს. ეს ჭრელა ძროხა მაინც რა გაუგონარი რამეა!

მატარებელი კი ტყვიასავით მოჰქრის. მეელმავლემ შორიდანვე შენიშნა ყოველივე და გაბმული სიგნალი მისცა. მატარებლის ოდნავი შეჩერება კი ამ თავდაღმართში ყოვლად შეუძლებელია.

სვეტლანაც გრძნობს, რომ თვალის რამდენიმე დახამხამება და, რაღაც საშინელება უნდა მოხდეს... ესმის ვიღაცის შეძრწუნებული ყვირილი: „მოეცალე, გოგო, მოეცალე!..“ ის იყო, მთელი ძალით ერთხელ კიდევ გადაუჭირა სახრე ჭრელას, რომ საზარელ გრიალთან ერთად, გოგონა რაღაც საოცარმა ძალამ — ჰაერის მძლავრმა ნაკადმა მიწას მოსწყვიტა და რამდენიმე მეტრის იქით, თხრილში გადაისროლა.

ჩაითქარუნა თუ არა უკანასკნელმა ვაგონმა, იქაურობა მყისვე ხალხით გაივსო. გრძნობადაკარგულ გოგონას გარს შემოეხვივნენ მეზობლები და რკინიგზელები. ბიძია გიგომ, სწორედ მან, ორიოდე წუთის წინ რომ უყვიროდა — მოეცალე, გოგო, მოეცალეო, მოასულიერა სვეტლანა. გონს მოვიდა თუ არა, სვეტლანას პირველი კითხვა ეს იყო: „ძროხები გადარჩნენ?“

— გადარჩნენ შვილო, გადარჩნენ, — უპასუხა ცრემლმორეულმა გიგომ. დანარჩენებმა მხოლოდ უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს, ყველა დაამუნჯა ამ პატარა გოგონას მამაცობამ და თავდადებამ.

სულ მალე კი მთელმა რაიონმა იცოდა, რომ სვეტლანა ბობოხიამ თავისი გმირული საქციელით კოლმეურნეობის ნახირი გადაარჩინა და მატარებელსაც მარცხი ააშორა. თვითონ სვეტლანა კი მორიდებულად იტყვის ხოლმე: „მე განსაკუთრებული არა ჩამიდენია რა, ასე მოიქცეოდა ყველა პიონერი“.

**ს. შამფრიანი**

# რატომ ვამბობთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადამის დროინდელი

ბიბლიური მითის მიხედვით პირველ ადამიანს, რომელმაც დასაბამი მისცა დედამიწაზე ადამიანთა მოდგმას, ადამი ერქვა. ამ მითის საფუძველზე წარმოიშვა გამოთქმა „ადამის დრო“, „ადამის დროინდელი“, რაც ძველს, დრომოჭმულს ნიშნავს.

## ძია სემი

ასე ეძახიან დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

არსებობს აზრი, რომ ეს გამოთქმა დამკვიდრდა ვინმე სემუელ ნილსონის სახელისაგან, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი შემოკლებულად „ძია სემს“ ეძახდნენ.

ინგლის-ამერიკის მეორე ომის დროს (1812-1814 წ.წ.) ნილსონს არმიის მომარაგების ინსპექტორის პოსტი ეჭირა. ყუთებს, რომელსაც იგი ჯარში გზავნიდა, ორი ასო ეწერათ: „u“ და „s“ — ამერიკის შეერთებული შტატების ინგლისური სახელწოდების პირველი ასოები. ეს ორი ასო ემთხვევა „ძია სემის“ ინგლისური ტრანსკრიპციის პირველ ასოებს. ამბობენ, რომ სწორედ ეს შემთხვევა გახდა საბაბი ქვეყნის ასეთი სახელწოდებისა, რომელსაც აგერ, საუკუნენახევარია ხმარობენ.

## სახელმწიფო — ეს მე ვარ

ამ გამოთქმას საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტეს მიაწერენ, რომელსაც ეს სიტყვები თითქოს პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ეთქვას. ჩვენს დროში ეს გამოთქმა იხმარება იმ ადამიანთა დასახასიათებლად, ვინც თავის მდგომარეობას, თანამდებობას ან უფლებას ბოროტად იყენებს, ანგარიშს არ უწევს არაფერსა და არავის.

## მეხუთე კოლონა

პირველად ასე უწოდებდნენ ჯაშუშებს, დივერსანტებს და მავნებლებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ფრანკისტ კონტრრევოლუციონერებს ესპანეთის რესპუბლიკასთან ბრძოლის დროს (1936—39 წ.წ.). ეს გამოთქმა ეკუთვნის ესპანელ გენერალს ემილ მოლას, კონტრრევოლუციონერთა არმიის უფროსს. 1936 წელს, როდესაც ფრანკისტები მადრიდს უტევდნენ, მან რადიოთი განაცხადა, რომ იმ ოთხი არმიის გარდა, რომელიც მის ხელქვეით იბრძვის, მას კიდევ ერთი კოლონა ჰყავს თვით მადრიდში.

მადრიდში მოქმედ ჯაშუშთა და დივერსანტთა მეხუთე კოლონის მიხედვით, მას შემდეგ „მეხუთე კოლონას“ უწოდებენ მტრის ფარულ აგენტებს, რომლებიც დივერსიის საშუალებით მოქმედებენ.

# ადამის ჰარეხი



შემხვედრი ქარი გვიბერავდა, როდესაც ადენის უბიდან გავედით. რაც წინ მივიწევდით, ქარი თანდათან უფრო ძლიერდებოდა. ვეებერთელა ზვირთები ხან მთლად ჰფარავდა გემბანს, ხან კი მაღლა აგვიტაცებდა და ზღვის უფსკრულში ჩანთქმას გვიქადდა.

მძიმეა მეზღვაურისათვის ასეთი წუთები. მაგრამ ცურვა, ზღვაში ყოფნა მოთხოვნილებაა მისთვის. ვერც ქარი, ვერც ღელვა და სხვა გასაჭირი ვერ აზშობს ამ სიყვარულს.

როგორც იქნა, ცურვის მეთოთხმეტე დღეს გამოჩნდა კუნძულ ცეილონის ყველაზე მაღალი მწვერვალი — ადამის პიკი. გამოჩნდნენ ცეილონელი მეთევზეები. მათი ხის ნავები ხშირად ვერ უძლებენ ძლიერ შტორმს და მეთევზეები ზღვის მსხვერპლნი ხდებიან ხოლმე. ცეილონზე ჯერ არა აქვთ დიდი თევზმჭერი გემები და იძულებული არიან ზღვის სიმდიდრის დაპყრობა ძველი, პრიმიტიული წესით აწარმოონ.

აბობოქრებულ ზღვაში ამ უმწეო ნავების შეხვედრამ, საიდანაც გულთბილად გვესალმებოდნენ მეთევზეები, ძალა და მხნეობა შეგვმატა. მივუახლოვდით თუ არა კუნძულს, ზღვის ერთფეროვან სივრცეს შეჩვეულმა თვალმა უცებ შეამჩნია მწვანე, ძალზე მწვანე მთები და ჩაით დაფარული ფერდობები. უზარმაზარი პალმები, ბანანები, ქოქოსისა და კაუჩუკის ხეები აგვირგვინებდნენ ამ საოცრად ლამაზ პეიზაჟს.

ცეილონის დედაქალაქი — ნავსადგური კოლომბო. უზარმაზარი ზვირთსაჭერები. (აქ მთელი წელი ჰქრის ქარები და, ტალღები რომ ყურეში არ შევიდეს, ზვირთშემკავებელი ჯებირებია მოწყობილი). ათასობით გემი, რომელთაც თავი შეუფარებიათ ნავსადგურში.

იცლებიან გემბანები. უზომო ტვირთს ნთქავს ტრიუმები. ცეილონი სანსკრიტულ ენაზე ლომების საცხოვრებელს ნიშნავს; კუნძულს 66 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავს — მეტი, ვიდრე ბელგიასა და ნიდერლანდებს ერთად.

პაპანაქება სიცხე დაგვხვდა კოლომბოში, იანვარი იყო და ჩვენებური აგვისტო გაგვახსენდებოდათ.

ლუზა ჩავუშვით და ხმელეთზე გადავედით. უზომო ხალხი — მოხუცი და ახალგაზრდა — გარს შემოგვეხვია, რალაცას გველაპარაკებოდნენ, გვანიშნებდნენ. ჩვენი ყურადღება ორმა ბავშვმა მიიპყრო. ასე 12 — 14 წლისანი იქნებოდნენ. ტანთ თითქმის არაფერი ეცვათ, სხეულის ქვედა ნაწილზე ბაწრით ჰქონდათ შემოკრული ძონძები. საშინელი სანახავები იყვნენ: გამხდრები, უფერულები. ობლები გამოდგნენ. უფროსი ძმა 14 საათს მუშაობდა თურმე პლანტაციებში, მერე ხელი დაეზიანა და ახლა უმუშევრად დაეხეტებოდა. რა უნდა გველონა? ბავშვებს ხელი დავხვიეთ და გემზე წავიყვანეთ, რათა იქ ყოფნის დღეებში მაინც გაგვეძლო და ჩაგვეცვა ობლებისათვის. 12 დღე დავყავით კოლომბოში და ამ ხნის მანძილზე ეს ორი ბავშვი ჩვენი მეზღვაურების განუწყვეტელი ზრუნვის ქვეშ იმყოფებოდა. ისინიც არ რჩებოდნენ ვალში და მზარეულს კარტოფილის წმენდაში ეხმარებოდნენ ხოლმე.

წასვლისას ძალიან გაგვიძნელდა ბავშვებთან დაცილება, მაგრამ რას ვიზამდით, გემი გზას უნდა გადგომოდა. ჩავაცვით, დავახურეთ, სურსათიც გავატანეთ თან და ორივენი ნაპირზე გადავსვით.

ნაპირზე გადასულებს გიდების — გამცილებლების მთელი არმია შემოგვესია გარს. თურმე ნუ იტყვით, ყოფილა მთელი კატეგორია ხალხისა, რომლებიც ამით ირჩენენ თავს.

ჩვენი მანქანა ახალი კოლომბოს ქუჩებში მიჰქრის, სადაც ჰოლანდიის, იაპონიის, საფრანგეთის წარმომადგენელთა სასახლეებია. შუქი, სიმწვანე, ახალი, უცნაური სტილის მიხედვით აგებული თეთრი სასახლეები.



— „მხოლოდ სამი წელია, რაც საბჭოთა კავშირსა და ცეილონს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა, — ამბობს გიდი, — და ჩვენ კარგად დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ქვეყანა ცეილონელი ხალხის დიდი მეგობარია“. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ცეილონის პარლამენტის დიდებულმა სასახლემ, სპორტულმა სასახლემ, სპორტულმა პარკმა, განთქმულმა ბოტანიკურმა პარკმა, სადაც დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა ხისა და ბუჩქის ნიმუშია თავმოყრილი. საინტერესოა ზოოპარკი, სადაც სპილოები და მაიმუნები თავისუფლად არიან გაშვებულნი და ხეივნებში დასეირნობენ. სპილოები მასპინძლის როლს ასრულებენ, მაღალი ხმით გაჰკივიან და იქნევენ გრძელ ხორთუმებს. ჩვენ ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ შემოგვარტყეს წრე უზარმაზარმა სპილოებმა. ყოველ მათგანს ხორთუმით მეორე სპილოს კუდი






ეჭირა და ასე, ცოცხალი წრის შუაში ვიყავით გამომწყვდეულნი; ადვილი წარმოსადგენია თუ რა „სასიამოვნო“ წუთებს განვიცდიდით ამ გიგანტების წრეში მომწყვდეულები, მით უმეტეს, რომ მაშველი არავინ ჩანდა. ამ გასაჭირში ვიყავით, რომ უცებ სპილოების ფეხებს შორის ამოყვინთა შავტუხა ბიჭმა, რომელსაც თეძოების გარშემო დაკონკილი მოსასხამი ჰქონდა მოხვეული. ისე კი მთლად შიშველი იყო. „ნუ შიშობთ, — დაგვიძახა მან, — ჩემი პაწაწინები ძალიან კეთილები არიან, ასე ადვილად არავის აწყენინებენ“.

— გადავრჩით! — წამოიძახა ვილაცამ.

შვებით ამოვისუნთქეთ.

ეს „სასიამოვნო“ წარმოდგენა რომ დამთავრდა, ბიჭმა სპილოზე შეჯდომა და გასეირნება შემოგვთავაზა, მაგრამ შიშს ჯერ კიდევ არ გაევლო და მხოლოდ ორიოდე მამაცმა გაბედა გიგანტებზე ამხედრება.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს სინგალეზელი პატარა ბიჭი ყოფილა ამ სპილოების მწვრთნელი. იგი საოცრად თავისუფლად გრძნობდა თავს ამ გიგანტებს შორის „ყოჩაღ მუნა! („მუნა“ მათ ენაზე პაწაწინას ნიშნავს) — მიმართა მან ერთ-ერთ სპილოს, — შენ დღეს კარგი ჯილდო დაიმსახურე“. — ჩანთიდან რაღაც ამოიღო და სპილოს ხორთუმში მიაწოდა. შემდეგ ხორთუმზე ჩამოუჯდა, სპილომ მაღლა ასწია და თავის უზარმაზარ ყურთან მიატანინა პირი. ბიჭმა რაღაც ჩასჩურჩულა. სპილომ იგი ფრთხილად დასვა მიწაზე, თვითონ უკანა ფეხებზე ჩაიკეცა და თავის ქნევა დაიწყო. ჩვენ მივხვდით, რომ ცხოველი სპექტაკლისათვის გასამრჯელოს ითხოვდა. ფულის ხელით მიწოდება ვერ გავბედეთ და ხურდა მიწაზე გადავუგდეთ. სპილომ ფული ოილად აკრიფა და თავის პატრონს მიაწოდა.

ამ ადგილს რომ ვცილდებოდით, შევამჩნიეთ, რომ სპილოებმა ახლა უცხოელთა მეორე ჯგუფი მოიმწყვდიეს შუაში. როგორც ჩანდა, სპილოები სპეციალურად იყვნენ გავარჯიშებულნი და ამით პატრონს კარგ შემოსავალს აძლევდნენ.

ზოოპარკის მეორე ბინადარნი — მაიმუნებს პირდაპირ მოთმინებიდან გამოჰყავთ დამთვალიერებელნი, უმთავრესად კი მანდილოსნები. გამოეკიდებიან უკან, დაუწყებენ ხვეწნას, ძალისძალად წაართმევენ რაიმე ნივთს: ჩანთას, სავარცხელს, საათს, კალამს და ბუჩქებისაკენ მოუსვამენ. ატყდება რბენა და წივილ-კივილი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მაიმუნები ახლოს არავის იკარებენ. თუ ნივთი ძვირფასია, ზოოპარკის ზედამხედველის ჩარევაა ხოლმე საჭირო. მის ერთ დასტვენაზე კი მაიმუნები უმალ ადგილზე ჩნდებიან. ისევ გასამრჯელო, ისევ ფული! როგორც შევამჩნიეთ, მაიმუნებიც სპეციალურად ჰყავთ გამოწვრთნილი მტაცებლებად.

იმ დღეს ჩვენ ერთი ლამაზი სოფელი დავათვალიერეთ. როდესაც გამცილებელს ვთხოვეთ სკოლა ეჩვენებინა, მან უსიტყვოდ გაიღიმა, შემდეგ ერთი რვაასი მეტრი გაგვატარა და უშველებელ ხის ძირას მიგვიყვანა. ხის გაშლილ ტოტებქვეშ 20—25 ბავშვი იჯდა. იქვე იყო მათი მასწავლებელიც. ასე ღია ცის ქვეშ მეცადინეობენ თურმე ცეილონელი ბავშვები. კარგია, რომ ბუნება მაინც უწყობთ ხელს, არ ცივა და წვიმაც გარკვეულ თვეებში მოდის. ესლა აქვთ სანუგეშებელი, რომ სუფთა ჰაერზე მეცადინეობენ მთელ დღეს.

იქვე მდინარე იყო და ჩვენი თვალით ვნახეთ, ბავშვობაში არაერთხელ გაგონილი აღმოსავლური თევზის ჭერა. ნავებში თევზიყლაპია ფრინველები ყავთ. ჩაყვინთავენ წყალში და მალე თევზით პირში ნავთან გაჩნდებიან. იმისათვის, რომ ფრინველმა თევზი არ გადაყლაპოს, ყელზე რკინის რგოლები აქვთ ჩამოცმული. გვიამბეს: ფრინველებმა რომ არ იზარმაცონ, თევზაობამდე რამდენიმე დღეს ვაშიმშილებთო.

ნავსადგურში ვნახეთ ჯუტის მტვირთავი მუშები. აუტანელი ხიცხის მიუხედავად, ისინი იოლად ისროდნენ დიდ ტომრებს. ტანთ ან სულ არ ეცვათ, ან ძალზე ცუდათ ეცვათ, გამხდრები იყვნენ და გაყვითლებულნი.



„აი, სადამდე მიგვიყვანა კოლონიალიზმმა! თქვენ თანამგზავრებს უშვებთ, ჩვენ კი გემებს ჯერ კიდევ ხელით ვტვირთავთო“,—თქვა ერთმა. რა გვეთქმოდა.

ტყუილად კი არ ეძახიან ცეილონელები თავის ისტორიას „კარუმეს“. ეს ჩვენს ენაზე „უბედურ ბედს“ ნიშნავს.

ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში ცეილონი პორტუგალელებმა დაიპყრეს. შემდეგ იქ ჰოლანდიელმა კოლონიზატორებმა მოიკიდეს ფეხი, და ბოლოს, 1795 წლიდან, ცეილონზე ინგლისელები გაბატონდნენ. ხალხი ადვილად არ შერიგებია დამპყრობლებს და შეძლებისდაგვარად იბრძოდა. ბრძოლა ბოიკოტის ხასიათს ატარებდა, მაგრამ ინგლისელებმა იაფი მუშახელი ინდოსტანიდან გადმოიყვანეს. ეს ისე მასიურად ხდებოდა, რომ ცეილონის მოსახლეობის 30 პროცენტი დღეს თამილებია (ინდოეთიდან გადმოსახლებულ ხალხს „თამილებს“ ეძახიან).

როდესაც 1948 წელს ცეილონს დამოუკიდებლობა ეღირსა, ქვეყანა მთლად გაღატაკებული და დაუძლურებული იყო. ცეილონის ეკონომიკაში კაპიტალისტები ახლაც ურევენ ხელს. ორიოდე წლის წინ მათ ერთმანეთზე წააქეზეს თამილები და სინგალეზები, ატეხეს ძმათა ომი, რასაც 150 000 ადამიანი შეეწირა.

ჩვენს მახსოვრობაში სამუდამოდ დარჩა ცეილონზე გატარებული თბილი დღეები. ვტოვებდით ცეილონს და ვფიქრობდით იმაზე, რომ ცეილონელებს კიდევ დიდი ბრძოლა დასჭირდებათ, რათა ფართოდ გაუღონ კარი მოყვარეს, და მტერს მტკიცედ ჩაუკეტონ კუნძულზე მისასვლელი გზები. ჩვენ გვჯერა, რომ დღეს თუ არა, ხვალ ისინი მაინც გაიმარჯვებენ.

**ვახტანგ ბარათაშვილი,**
შორსმცურავი გემის ფლაგმანი კაპიტანი.

საინტერესო თემაზე

## თანამგზავრი ტელეხედვისათვის

უკვე ბევრჯერ ითქვა, რომ ხელოვნურ თანამგზავრებსა და მთვარეს ადამიანი ოდესმე ტელეხედვისათვის გამოიყენებსო. ახლახან უზარმაზარმა რადიოტელესკოპმა ინგლისსა და ამერიკაში გადასცა რადიოტალღები, მაგრამ რადიოტალღები ჩვეულებრივი გზით კი არ მიდიოდნენ, არამედ, მთვარის «გავლით»: რადიოტალღები მიმართული იქნა მთვარის გარკვეული წერტილისაკენ. იქიდან არეკლილმა ტალღებმა, გაიარეს რა 80.000 კილომეტრი, ამერიკას მიაღწიეს. ამბობენ, რომ ამ საქმეში მთვარის გამოყენებას უდიდესი პერსპექტივა აქვსო.

რომის ოლიმპიური თამაშები ჯერ არ დაწყებულა და იაპონელები კი უკვე 1964 წლის ოლიმპიადისათვის ემზადებიან, რომელიც მათთან, ტოკიოში უნდა ჩატარდეს. მათი საზრუნავი დიდად კეთილშობილურია: იაპონელებმა განიზრახეს მთელ მსოფლიოს ტელევიზორებით აჩვენონ ეს გრანდიოზული შეჯიბრება. ისინი ფიქრობენ, დედამიწიდან 35.800 კილომეტრის სიმაღლეზე, ორბიტზე გაუშვან ხელოვნური თანამგზავრი—ამრეკლავი. ასეთ ორბიტზე მოძრავი თანამგზავრი დედამიწას გარშემო ზუსტად 24 საათში შემოუვლის, ასე რომ, მუდმივად ერთ ადგილას იქნება «ჩამოკიდებული». ამ შემთხვევაში ეს ადგილი ქალაქ ტოკიოს ოლიმპიური სტადიონი იქნება. მაგრამ მისი ეხო იმდენად სუსტი იქნება, რომ მას ვერც ერთი ტელევიზორი ვერ დაიჭერს, ამიტომ, პროექტის მიხედვით, რეტრანსლაცია უნდა მოხდეს 24 დამხმარე თანამგზავრის საშუალებით, რომლებიც განლაგებული იქნებიან დედამიწისა და თანამგზავრ—ამრეკლავს შორის.

იაპონელმა სპეციალისტებმა გულდასმით შეიმუშავეს პროექტის რადიოტექნიკური ნაწილი, მაგრამ მათ თანამგზავრის ორბიტზე გაყვანის არც საშუალება აქვთ, არც სახსრები ამ გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად.

**თ. ომანიძე**

# ლუტემბე



ცნობილი ინგლისელი მეცნიერი და მოგზაური ლ. კოტლოუ თავის წიგნში—„ზანზაბუკუ“ მოგვითხრობს ერთ საინტერესო შეხვედრაზე ზანგთან, რომელსაც ნიანგი ჰყავდა მოშინაურებული.

...როდესაც კოტლოუ მივიდა ცხოველის პატრონთან და ნიანგის ნახვა მოინდომა, აფრიკელმა მას უპასუხა, რომ ამისათვის საჭიროა პატარა ჯილდო; მერე ხელი წამოავლო ერთ იღლია გამხმარ თევზს და ტბა ვიქტორიისაკენ გაემართა. იქ რუპორით რამდენჯერმე ხმამაღლა დაიძახა: „ლუტემბე!“ მაგრამ უშედეგოდ. ათი წუთს გაგრძელდა ეს ძახილი და ბოლოს გახარებულმა ჭაბუკმა მიუთითა წყალში მცურავ არსებაზე, რომელიც თანდათან მიუახლოვდა ნაპირს. გამოჩნდა ნიანგის დაკბილული ზურგი და გრძელი კუდი. ნიანგი ამოვიდა წყლიდან და პატრონისაკენ გაემართა, კოტლოუ კი მოშორებით იდგა და კინოფირზე იღებდა ამ საკვირველებას.

ნიანგი დიდი და საზარელი იყო. განსაკუთრებით მაშინ, როცა დააღებდა თავის უშველებელ ხახას და გამოაჩენდა ბასრ კბილებს. თევზი თევზზე გადადიოდა ნიანგის გაუმაძღარ მუცელში. ბოლოს ჭაბუკმა ნაზად აიღო ნიანგის კუდი და ჩამოჯდა მასზე. „კუდის ერთი მოქნევა,— გაიფიქრა კოტლოუმ,—და იგი შუა ტბაში აღმოჩნდება“.

— რამდენი წლისაა?—იკითხა მოგზაურმა.

— ხუთი მეფე გამოიცვალა, ბატონო: კამანია, ხუნა, ბუტესა, მანგო და დაუდო-ჩვა.

გამონანგარიშების შემდეგ კოტლოუმ დაადგინა, რომ ხუთივე მეფის ძალაუფლებამ 125 წელს გასტანა და, ზანგის თქმით, ნიანგი დაახლოებით ამდენივე ხნის უნდა ყოფილიყო.

ლუტემბე პირველად ამ ჭაბუკის ბაბუამ შეიჩვია, როცა გარეულ ნიანგს ნაპირიდან თევზებს უყრიდა ხახაში. ცხოველი მიეჩვია ყოველდღიურ განცხრომას და ყოველთვის მისცურავდა დანიშნულ ადგილას. დროთა განმავლობაში კი შეიცნო სახელი „ლუტემბე“ და დაძახებისთანავე ნაპირთან აღმოჩნდებოდა ხოლმე. როცა მისი პირველი „მომთვინიერებელი“ გარდაიცვალა, მისმა შვილმა მემკვიდრეობით მიიღო ნიანგი.

კოტლოუმ გადაწყვიტა დანარჩენი თევზი თვითონ მიეწოდებინა ნიანგისათვის. ცხოველი თითქოს მიუხვდაო განზრახვას, მისკენ შეტრიალდა. შეშინებულმა მოგზაურმა სწრაფად გადაუგდო თევზი ხახაში. ნიანგი აშკარად უკმაყოფილო დარჩა ამ პატარა ულუფით თუ ადამიანის უნდობლობით. სწრაფად შეტრიალდა უკან და წყალში შეცურდა.

ამ დროს, მოგზაურმა, იმის გამოსარკვევად, მოიტანდა თუ არა ნიანგი გადაგდებულ ჯოხს, პატარა ჯოხი ისროლა წყალში. ჯოხი ნიანგის ზურგზე დაეცა და გასხლტა. შეურაცხყოფილმა ცხოველმა პირი იბრუნა და ტბის შუაგულისაკენ გასცურა.

— თქვენ იგი შეურაცხყავით,— თქვა აფრიკელმა და ცხოველს მიუდარის ხმით დაუწყო ძახილი: „ლუტემბე! ლუტემბე!“

ცხოველი დიდხანს აღარ მობრუნებულა. ბოლოს ნიანგი თითქოს მიხვდა, რომ თავისი სიფიცხისათვის შეეძლო „ვახშამი“ დაეკარგა და უკან გამობრუნდა. ჭაბუკმა იგი კარგად გამოაძღო, რის შემდეგაც ლუტემბე დაწვა მზეზე და დაძინების წინ ფართოდ გააღო თავისი უშველებელი ხახა ისე, რომ ჩამავალი მზე პირდაპირ ყბებს უთბობდა.

ალბათ მსოფლიოში ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა, რომ ნიანგი ადამიანს დაუმეგობრდა.

**რ. ზარდალიშვილი**



ხომ არც ისე პატარაა ჩვენი დედაქალაქი, მაგრამ მაინც დაეტყო მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა: ქუჩები, ბაღები, სპორტული მოედნები, სტადიონები სპორტსმენებით გაივსო. რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებაში გამარჯვებული ასობით მოსწავლე სპორტსმენი ეწვია დედაქალაქს და თბილისელ სპორტსმენებთან ერთად ორი კვირის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს უძლიერესის სახელისათვის მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში, კალათბურთში, ფეხბურთში, წყალბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ველოსპორტში და სხვ.

წინა წლებში, ტრადიციულად, სპარტაკიადის თითქმის ყველა სახეობაში ჩემპიონები დედაქალაქის სპორტსმენები ან კოლექტივები ხდებოდნენ. ახლაც არავის ეპარებოდა ეჭვი თბილისელთა გამარჯვებაში, მაგრამ წინასწარმეტყველება სპორტში მეტად არასაიმედოაო, ამბობენ და ეს ამ სპარტაკიადამაც დაამტკიცა.

მიუხედავად იმისა, რომ ტანვარჯიშში ოსტატ გოგონათა შორის თბილისელმა მოსწავლემ ლ. ჯანუყაშვილმა გაიმარჯვა, გუნდური პირველობა დიდი უპირატესობით ქუთაისელმა ტანმოვარჯიშე გოგონებმა მოიპოვეს.

ასე მოხდა მძლეოსნობაშიც. 14-დან 9 სახეობაში პირველობა პერიფერიებიდან ჩამოსულ სპორტსმენებს ხვდათ წილად. თუ გავუთვალისწინებთ, რომ წლების მანძილზე მძლეოსნობა საკმაოდ ჩამორჩენილი სახეობა იყო, ახლა შედეგებმაც ამ სიახლესთან ერთად, უნდა გაგვახაროს. კარგი მომზადება გამოამჟღავნა ქუთაისელმა მძლეოსანმა გოგონამ მ. პაპიაშვილმა, რომელმაც ასი მეტრი 12,2 წამში გაირბინა. ეს შედეგი პირველი თანრიგის ნორმატივს აღემატება და, იმედია, სულ მალე, ნიჭიერ გოგონას სპორტის ოსტატთა რიგებში ვიხილავთ. გასული წლის სპარტაკიადაზე შუბის ტყორცნაში გამარჯვებული მდლაძის შედეგი იყო 55,27 მეტრი. ახლა ამ სახეობაში დუშეთის მკვიდრმა, ამჟამად თბილისის სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ ქ. გორძამაშვილმა აჩვენა 58,60 მეტრი და 2,30 მეტრით მოუგო მეორე ადგილზე გამოსულ ვ. კაზაშბას (აფხაზეთი). გორძამაშვილმა მოიპოვა აგრეთვე პირველი ადგილი ბირთვის კვრაში. კარგი იყო მხტომელთა და მოკლე მანძილზე მორბენალთა შედეგებიც. პირველი თანრიგის შედეგით დაამთავრა შეჯიბრი ბათუმელმა გოგონამ თ. როუსმანოვამ 80 მეტრზე დაბრკოლებებით სირბილში—11,6 წ. როგორც სჩანს საქართველოს რაიონების მოსწავლე-ახალგაზრდობამ გულდასმით მოკიდა ხელი მძლეოსნობას—სპორტის ამ ერთ-ერთ წამყვან სახეობას და, იმედია, ეს გულმოდგინება შემდგომში დიდ სიყვარულში გადაიზრდება, რის გარეშეც



ლ. ბერძენიშვილი, ა. ანანიაშვილი და ლ. ავეტიხიანი—საქართველოს უძლიერესი ნორჩი მოცურავენი.

ძნელია მასიურობისა და მაღალი შედეგების მიღწევა.

ცურვაში უძლიერესნი იყვნენ თბილისელი მოსწავლეები. მეორე ადგილზე აქ აფხაზეთის გუნდი გამოვიდა. წარუმატებლად გამოვიდნენ აჭარის მოცურავეები. მაგრამ მათ მაგივრად რევანში მაგიდის ჩოგბურთელებმა აიღეს. პატარა ჩოგანის აჭარელმა ოსტატებმა ერთნაირი ანგარიშით (6 : 5) სძლიეს თბილისელ გოგონებსა და ვაჟებს და პირველი ადგილი დაიკავეს. ეს აჭარელ სპორტსმენთა დიდი გამარჯვებაა.

წყალბურთელთა ტურნირში უძლიერესი კვლავ თბილისის კო-



სპორტმა დაამეგობრა სამი გოგონა: ქუთაისელი ს. აბრამიძოვა, სოხუმელი ვ. ნარსია და თბილისელი ლ. ძუკაევა.



ლექტივი იყო. მათ დიდი ანგარიშით მოუგეს აფხაზეთის (6 : 1) ქუთაისის (10 : 2) და აჭარის (11 : 1) გუნდებს.

ფეხბურთელთა და კალათბურთელთა ასპარეზობაში დედაქალაქის სპორტსმენები კვლავ უძლიერესნი აღმოჩნდნენ. საერთო გუნდური პირველობა სპარტაკიადაზე დედაქალაქის მოსწავლეებმა მოიპოვეს, მეორეზე აფხაზეთის სპორტსმენები გამოვიდნენ, ხოლო მესამე ადგილზე—აჭარლები.

ახლა, საქართველოს უძლიერესი მოსწავლე-სპორტსმენები შეკრებას გადიან. აგვისტოს შუა რიცხვებში ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში დიდი ასპარეზობა გაიმართება, 16-რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდა სპორტსმენები საკავშირო პირველობისათვის შეჯიბრებაში ჩაებმებიან.

საქართველოს მრავალრიცხოვან სპორტის მოყვარულებს მათი წარგზავნილების იმედი აქვთ. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ სპორტსმენთა რიგებში დგას ის, ვინც, 1964 წელს, ქალაქ ტოკიოში, მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე, ასახელებს თავის სამშობლოს.



ნინო ქართველიშვილს ღიმილი არ სცილდება სახიდან, მან ეს-ეს არის გამარჯვებულმა დატოვა საწყალოსნო ბილიკი.

# იუმორი

* * *

— ჟაკ,—მიმართა მასწავლებელმა მოწაფეს,—აბა მითხარი, როდის არის ყველაზე კარგი დრო ვაშლის საკრეფად?

ჟაკი წამოდგა და დინჯად უპასუხა:

— მაშინ, როდესაც მებაღე სახლშია შესული და ძაღლიც არ არის ახლომახლო.

* * *

ხუთი წლის ტოტო რაღაცას წამოედო და დაეცა, მაგრამ სწრაფად წამოხტა ფეხზე.

— დაეცი, ძვირფასო?—შეეკითხა დედა.

— დიახ.

— იტირე?

— არა, ოთახში არავინ იყო და რისთვის მეტირა?

* * *

პატარა მარიმ გაკვეთილზე ხელი აიწია და თქვა: თუ შეიძლება მითხარით, რატომ არის ისტორიის წიგნში ქრისტეფორე კოლუმბის გვარის გვერდით რიცხვები: (1451-1506).

— ვის შეუძლია უპასუხოს?—იკითხა მასწავლებელმა.

ხელი მხოლოდ ნინომ ასწია.

— აბა, უპასუხე, ნინო,—უთხრა მასწავლებელმა.

— ეს მისი ტელეფონის ნომერია,—უპასუხა მოწაფემ.

* * *

— რატომ არ მპასუხობ, ანრი, განა ასე ძნელია ჩემი შეკითხვა?

— შეკითხვა ადვილია, მაგრამ პასუხია ძნელი, პატივცემულო მასწავლებელო.

ერთი პროფესორი ზღვის პირას ისვენებდა. ერთხელ ნავით გასეირნება გადაწყვიტა, აიყვანა გამცილებლად მეზღვაური და ზღვაში გავიდა.

შესანიშნავი ამინდი იდგა. კარგი სადილის შემდეგ გასეირნებით კმაყოფილმა პროფესორმა საუბარი გააბა მეზღვაურთან.

— მითხარი, მეგობარო, კარგად იცით ფიზიკა?

— მაპატიეთ, ბატონო პროფესორო, მაგრამ მე არაფერი გამეგება. ფიზიკისა.

— ეს მეტად სამწუხაროა,—წამოიძახა პროფესორმა.—თქვენ დაგიკარგავთ თქვენი ცხოვრების ერთი მესამედი. ასტრონომია მაინც გეცოდინებათ.

— არა, არც ასტრონომიისა გამეგება რა.

— ეს ხომ უბედურებაა. თქვენ დაგიკარგავთ ცხოვრების ორი მესამედი.

უცბად ამოვარდა საშინელი ქარი. ნავი წყლით აივსო.

— იცით ცურვა, ბატონო?—ჰკითხა მეზღვაურმა მეცნიერს.

— არა,—უპასუხა პროფესორმა.

— რას იზამთ. მაგრად ჩამკიდეთ ხელი ქურთუკზე, თორემ თქვენ ერთბაშად დაჰკარგავთ ცხოვრების სამივე მესამედს.

* * *

— ვინ იცის ალფავიტი?—იკითხა მასწავლებელმა.

— მე,—ხელი აიწია რენემ.

— აბა მიპასუხე, რა ასო მოდის ა-ს შემდეგ.

— ყველა დანარჩენი,—იყო პასუხი.

ფრანგულიდან თარგმნა
ლ. გიორგობიანმა

პასუხი

**გამოცანა წრეხაზი**

1. ცხენი; 2. ომეგა; 3. იალტა; 4. ელისი; 5. აზოტი; 6. ტემპი; 7. ოდესა; 8. გურია; 9. იფანი; 10. ირანი; 11. ხოვლე; 12. ოძისი; 13. პლატო; 14. რიონი; 15. თეკლე; 16. ბრეთი; 17. კალია; 18. ოდერი; 19. აჭარა; 20. არმაზი; 21. ციყვი; 22. ისანი; 23. სპილო; 24. მაისი; 25. ატენი; 26. ნავოი, 27 პრაღა, 28. ქაირო; 29. ოდერი; 30. საათი; 31. არმია; 32. აბაშა; 33. ჯიხვი; 34. გლეხი; 35. წინდა; 36. მეტრო; 37. უნაბი; 38. რადიო.

იკითხება ა. წერეთლის სიტყვები: „ხმალზედ უფრო ძლიერად ჭრის პატარა და რბილი ენა“.



# მოკლედ ყველაფერზე

## 2.300 წლის პაპირუსი

ამ ბოლო დროს ბალკანეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, მანგალიაში, რუმინელმა მეცნიერ-არქეოლოგებმა მიაკვლიეს ერთ ძველ პაპირუსს.

როგორც მეცნიერებმა დაადასტურეს, ეს პაპირუსი 2.300 წლისაა და ევროპაში იგი უძველესი უნდა იყოს.

პაპირუსი თავისი ხასიათით ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლს წარმოადგენს.

მისი დამწერლობა მიეკუთვნება ძველ ბერძნულს.

## სამშენებლო ამწე

ძლიერი ამწე მშენებელთა მთავარი თანაშემწეა, მაგრამ მას აქვს თავისი უარყოფითი თვისებებიც: იგი შედარებით ნელი და მოუქნელია. ხდება ხოლმე, როცა პატარა ტვირთია ასაწევი, ან ადამიანები არიან მაღლა ასაყ-



ვანი, მაშინ ამწეს მოწყვეტა მთავარ სამუშაოდან ძნელდება ხოლმე.

ახლახან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ააგეს სწრაფი და მსუბუქი ამწე, რომელიც 600 კგ ტვირთს სწევს, იგი სრულიად არ შეუშლის მთავარ ამწეს ხელს და მასთან ერთად მოემსახურება მშენებლობას.

## 600 წლის მარგალიტი

ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში, აზიაში, ფილიპინების კუნძულ პალავანზე, ზღვაში ერთი მყვინთავი სიპინებს იჭერდა. ჩაყვინთვისთანავე მას ფეხი ნიჟარაში ჩაუვარდა. რადგან ნიჟარა მძიმე იყო, მყვინთავმა ფეხი ველარ ამოიღო და წყალში დაიხრჩო.

როცა მყვინთავის გვამი ამოიღეს, გახსნეს ნიჟარაც. შიგ მანამდე არნახული სიდიდის მარგალიტი აღმოჩნდა. მარგალიტი კუნძულის მცხოვრებთა ბელადს პანგ-ლიმა პიზის ჩაუვარდა ხელში და რამდენიმე წლის განმავლობაში მასთან ინახებოდა.

ერთხელ, პალავანის კუნძულის მცხოვრებლებს ამერიკელი მკვლევარი, გვარად კობი ეწვია. კობი ამ კუნძულის შესწავლის სურვილმა ჩამოიყვანა ასეთ შორ მანძილზე,

კუნძულზე ცუდი ჰავა იყო და ავადმყოფობა ხალხს მუსრს ავლებდა. მძიმე ავადმყოფობას ვერც პანგ-ლიმა პიზის შვილი გადაურჩა. სიკვდილისაგან იგი მეცნიერმა კობიმ იხსნა, ამის გასამრჯელოდ მამამ ამერიკელს მარგალიტი მისცა თავის ნიჟარიანად.

როდესაც მეცნიერებმა ეს მარგალიტი შეისწავლეს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მის წარმოშობა-განვითარებას დაახლოებით ექვსი საუკუნე დასჭირდა.

## შხამიანი ყურძენი

კუნძულ პალავანზე მცხოვრები ტომი საბრძოლო ისრის წვერს ავლებს შხამიანი ყურძნის წვენში. ეს ყურძენი იმ ტყის მოსავალია, სადაც შხამიანი ვაზი ხარობს. ასეთი ისრით დაკოდილი ვერც ადამიანი და ვერც ცხოველი ცოცხალი ვერ გადარჩება. მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ფილიპინების კუნძულ პალავანზე მოსული შხამიანი ყურძენი ერთადერთია მთელ მსოფლიოში.

## სიკვდილთან თამაში

ახალგაზრდა ფრანგი, სახელად სენნი, ავტომანქანას ორ ბორბალზედაც ისე იოლად ატარებს, როგორც ოთხზე. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. გზაზე, იგი ცოცხალ წინაღობასავით აყენებს წინ თავის ორ ასისტენტს, მთელი სისწრაფით მიექანება მათკენ და მხოლოდ სულ ახლოს მისვლისას უქცევს სწრაფად მათ გვერდს.



გაოცებას იწვევს ამ ადამიანთა ნერვების სიმტკიცე, რომლებიც მართლაც რომ სიკვდილს ეთამაშებიან.

## კუნძული — მეხანძრე

ბოლო ხანებში სამგზავრო და სავაჭრო გემები ისე მომრავლდნენ, რომ ხიფათის შემთხვევაში, ძველებური სახანძრო გემები მათ მთლიანად ველარ უწევენ დახმარებას. ამიტომ იყო სწორედ, რომ ინგლისის ერთ-ერთ პორტში შექმნეს თავისებური მეხანძრე კუნძული. ეს მაღალი, ფოლადის კოშკია, რომელიც ტივტივას ეყრდნობა: ქვემოთ მოთავსებულია



ძლიერი საქაჩავი მოწყობილობა, ზემოთ კი—სათვალთვალო პუნქტი და ცხრა უძლიერესი წყალმშხეფი.

ეს მთელი მცურავი კუნძულია, რომელსაც საკმაოდ სწრაფი სვლა აქვს. იგი ახლოს მიდის ალმოდებულ გემთან და წყლის მძლავრ ჭავლსაც სწორედ იქით მიმართავს, სადაც მეტი საფრთხეა.

## სუნამოს მოგზაურობა

გასული წლის დეკემბერის დამლევს უაიტხევანას მცხოვრებლებმა (ინგლისის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო) მკვეთრად შეიგრძნეს ყვავილების სუნი. მათ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ნახეს, რომ ამ სუსხიანი ზამთრის თვეში ყვავილების სურნელებით იყო გაჟღენთილი ზღვა.

ამ ცნობამ მეტად გაახარა აშშ მეცნიერ-ოკეანოლოგები. ეს იმას ნიშნავდა, რომ წარმატებით დაგვირგვინდა 9 ათასი ტონა სუნამოს მოგზაურობა, რაც მათ გასული წლის ზაფხულში ჩაასხეს ფლორიდის სანაპიროსთან, ატლანტის ოკეანეში. არაჩვეულებრივმა ექსპერიმენტმა დაამტკიცა გოლფსტრიმის თბილი დინების ერთ-ერთი განშტოების ნავარაუდევი სიჩქარე და მიმართულება.

„ПИОНЕРИ" журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина,
№ 8. 1960 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 3—81—85
სსსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-85
უე 00053. ტირ. 23.000. პირ. ფიზ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორმ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 20/VII-60 წ. სტამბის შეკვ. 1166. გამომც. შეკვ. 459. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ «კომუნისტი». | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა









ჩანახატები იმერეთზე

(ზურაბ ლეჟავას ალბომიდან)





6.37/213

ეროვნული ბიბლიოთეკა